140
1962/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

მარტი 3 1962

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის
XXXVI
წელი

8707

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია:
რ. ელანიძე, რ. ინანიშვილი, ჯ. კვარაცხელია,
მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი,
გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ), რ. ქორქია,
ე. ყიფიანი, ა. შენგელია, რ. ცუცქირიძე

# პიონერი

მარტი 3 1962

## შინაარსი

რ. ქორქია—პურის ნატეხი (ნამდვილი ამბავი) . . 2
მ. მრევლიშვილი—ჩემო დედა (ლექსი) . . . . . 3
ჯ. ნიქაბაძე—საჩუქარი (ლექსი) . . . . . . . . 3
ვ. სიდამონიძე—არშელი გმირი ქალი . . . . . . 3
თ. შათირიშვილი—უთბილესო, უტკბილესო (ლექსი) 4
გ. ბახტაძე—ასე ხვდებიან სახელოვან 40 წლისთავს (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . . 5
ჩვენ 17 000 000 ვართ!—(პიონერული ამბები მოძმე რესპუბლიკებიდან) . . . . . . . . . . . 5
რ. ჩაჩანიძე—ჩამქრალი ნათურები (მოთხრობა. დასასრული) . . . . . . . . . . . . . . . 8
რა არის ფენოლოგია? . . . . . . . . . . 14
რატომ ვამბობთ ასე? . . . . . . . . . . 15
ნორჩ მეოჯახეთა კლუბი . . . . . . . . . 16
ო. ვისნერი—ალიოშას გიტარა (მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა ი. ლეჟავამ) . . . . . 18
ზ. ორბელი—ჩემპიონი (ნარკვევი) . . . . . . . . 20
თ. გიორგაძე—უჩვეულო შეჯიბრება . . . . . . . 22
ე. ბუკოვი—ანდრიეში (პოემა-თქმულება. მოლდავურიდან თარგმნა ხ. ბერულავამ) . . . . . 23
ლ. ჯულაბაშვილი—„მოხეტიალე მუსიკოსი“ (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . 27
კ. გოგიაშვილი—კახა (ლექსი) . . . . . . . . . 28
რ. ელანიძე—ბენჩო და ბუნჩო (ზღაპარი) . . . . 30
საბჭოთა ტექნიკის სიახლენი . . . . . 31
უცხოური იუმორი . . . . . . . . . . 31
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . 32
თავისუფალ დროს . . . . . . . . გარეკ. 4

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა – რ. ცუცქირიძისა.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების: რ. ცუცქირიძის, ჯ. ლოლუას, ე. ამბოკაძის, დ. ხახუტაშვილისა და თ. სამსონაძის მიერ.

კ. მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა * თბილისი *

დიდება დედას!

# პურის ნატეხი

(ნამდვილი ამბავი)

**როდიონ ქორქია**

ნახ **რ. ცუცქირიძისა**

1

ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებშივე დიდძალი მუშა ახალგაზრდობა ჩაეწერა წითელ გვარდიაში. ჩაეწერა კოლია ხოდაკოვიც.

კოლია იყო მოსკოვის პრესნის რაიონის კომკავშირის კომიტეტის წევრი, ახალგაზრდობის ორგანიზატორი და თავდადებული მებრძოლი საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მთელ დღეებს წითელგვარდიელთა რაზმში ატარებდა და კონტრრევოლუციას ებრძოდა. კონტრრევოლუცია კი ყოველ უბანში, ყოველ ქუჩაში აყლარუნებდა იარაღს.

ერთ დღეს კოლია ჩვეულებრივი სიფიცხით გამოცხადდა შინ, იარაღი სასთუმალთან დაიწყო და დაიძინა. რომ გამოიღვიძა, შაშხანა გადაიკიდა მხარზე, რევოლვერი ჯიბეში გაირჭო, დედას გადაეხვია და უთხრა:

— სერიოზულ საქმეზე მივდივარ, დედი! თუ დამაგვიანდა, არ შეგეშინდეს.

წავიდა. მოზარდისათვის უჩვეულო ფართო ნაბიჯით გაიარა ეზო და თვალს მიეფარა.

დიდხანს უყურა დედამ, თვალცრემლიანმა და მწუხარემ.

შინ რომ შებრუნდა, უღონოდ დაეშვა ტახტზე, საშინელი სიცარიელე იგრძნო. ქმარი ომში დაეღუპა, თვითონ მრეცხავად მუშაობდა, ეს ერთი შვილი ჰყავდა, იმისი იმედით სუნთქავდა და დღეს ესეც... ვინ იცის, როგორია ის „სერიოზული საქმე?" წასკდა ცრემლები.

უცებ, სასთუმალთან ხელში რაღაც პატარა შეკვრა მოხვდა. ცრემლები მოიხოცა. გახსნა შეკვრა. კოლიას პურის ულუფა აღმოჩნდა გაზეთის ნახევში.

იმ ხანებში მუშებსა და საბჭოთა მოსამსახურეებს მეოთხედი გირვანქა პური ეძლეოდათ ულუფად დღეში. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მიმავალ შვილს ეს ულუფაც დედისთვის დაეტოვებინა, თვითონ მშიერი წასულიყო.

პურის ნატეხი დედამ გულში ჩაიხუტა. შემდეგ ისევ გაახვია გაზეთის ნახევში და შეინახა.

არც იმ დღეს, არც მეორე დღეს კოლია არ დაბრუნებულა შინ.

მესამე დღეს კოლიას ამხანაგი მოვიდა და უთხრა დედას: კოლია თეთრებთან ბრძოლაში დაჭრეს და ჰოსპიტალში წევსო.

დედა ჰოსპიტალში გაეშურა.

მოწყალების დამ აცახცახებული ტუჩებით უთხრა:

— ეს-ეს არის, გარდაიცვალა კოლია ხოდაკოვი... ჩაიბარეთ მისი ნივთები...



2

დიდხანს ინახავდა დედა პურის ნატეხს.

გადაიქუხა სამოქალაქო ომმა. ცხოვრება მშვიდობიან კალაპოტში ჩადგა. საბჭოთა ხელისუფლება ფეხზე გაიმართა.

მოსკოვში, პრესნის რაიონში, ისტორიულ-რევოლუციური მუზეუმი გაიხსნა. მუზეუმი შეუდგა რევოლუციასთან დაკავშირებული ექსპონატების შეგროვებას.

ერთ დღეს მუზეუმში გამოცხადდა დედა და წარადგინა კოლიას კომკავშირული ბილეთი, ნატყვიარი ხალათი და პურის ნატეხი...

ის პურის ნატეხი დღესაც ინახება მუზეუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა





## საჩუქარი

ბაღში ფუსფუსებს ქარი,
ხეზე კვირტები სხედან,—
დღეს ხომ რვა მარტი არი,
ჩემო ძვირფასო დედა.
გულისწადილი ერთი
დღემდე ვატარე ფრთხილად,
რომ მომელოცა შენთვის
ეს ბედნიერი დილა.

რა ვქნა, ჩემს ალალ სურვილს
ასე ურჩია გულმა,
ზოგჯერ საუზმის ფული
გადავინახე ჩუმად.
დღეს, როცა ასე კეთილს
და აღტაცებულს გხედავ,
ეს ყვავილები შენთვის
მომირთმევია, დედა.

**ჯანსუღ ნიქაბაძე**

## ჩემო დედა

შენ მაჩუქე მზე და მთვარე,
ვარსკვლავებიც ზედა,—
სულ აკვანზე დამიყარე,
საყვარელო დედა.
ფრთები ცისკენ ასაფრენი
შენგან დამებედა
და ოცნება ათასფერი,
საყვარელო დედა.
ყანა, წყარო, ლურჯი მთები,
რასაც თვალით ვხედავ,
დავხატე და მოგიძღვენი,
საყვარელო დედა.
— საჩუქარი სხვა რა მინდა,—
ასე მითხრა დედამ,—
ამ პირველი ნახატებით
გამახარე მეტად.
შეგრჩეს, შვილო, სიბერემდე
ეგ კეთილი გული,
შენ თვითონ ხარ ჩემი მზე და
ჩემი თაიგული.

**მაყვალა მრევლიშვილი**

## არშელი გმირი ქალი



ვ. სიდამონიძე

ვერც ისტორიამ შემოგვინახა და ვერც ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ გმირი არშელი ქალის სახელი და გვარი. ისღა ირკვევა, რომ იგი თერგის ხეობის სოფელ არშის მკვიდრი ყოფილა. მაინც, ხალხმა თავის ხსოვნაში არ დაჰკარგა მისი გმირობის ამბავი.

გმირი ქალი XVIII საუკუნეში ცხოვრობდა. მთელი იმ საუკუნის მანძილზე ბრძოლების ქარიშხალი არ ჩამქრალა. ეს იყო ქართველი ხალხის კიდევ ერთი ძნელბედობის დრო.

გმირი ქალის სამშობლო სოფელ არშას, ვინ იცის, რამდენჯერ დასხმია თავს გადამთიელი მტრის ურდო. გაჭირვების დროს მთელი სოფელი არშის ციხე-სიმაგრეს აფარებდა თავს.

უკანასკნელად სოფელ არშას თავს დაესხა მოთარეშე ბრბო, რომელიც მხოლოდ ძარცვა-გლეჯით ცხოვრობდა. ამ დროს არშელი ქალი უკვე ხანში შესული ყოფილა, მაგრამ, მიუხედავად ხანდაზმულობისა, როგორც იტყვიან, საარაკო გმირობა ჩაუდენია.

აი, ხალხური თქმულება არშელ გმირ ქალზე:

მოთარეშე მტრის რაზმელებმა ერ-

# უთბილესო, უტკბილესო

**თამაზ მათირიშვილი**

უთბილესო, უტკბილესო,
საყვარელო დედა,
ყველა დედას შვილზე დარდი
დაჰყოლია ბედად.
ჩემზე ზრუნვით შენ ჭაღარა
შეგერია თმაში,
ანბანი რომ შემასწავლე,
სხვა იყავი მაშინ.
შემაყვარე შენთას წიგნი —
წიგნი უძველესი,
საქართველოს მარგალიტი,
უმდიდრესი ლექსი.
შემაყვარე ქართული ცა
და მამული გმირთა,
მეც სამშობლოს სასახელოდ
გავიზარდო მინდა.

თი დედაბერი შეიპყრეს და უთხრეს: გვასწავლე, როგორ შეიძლება ციხის აღება, თორემ მოგკლავთო. დედაბერმა უთხრა: გასწავლითო. თურმე დედაბერი ხალხთან შეპირებული ყოფილა, მე ასე და ასე ვასწავლი მტერს ციხეზე ამოსვლას და თქვენ დახოცეთ, დროშაც ძირს გადმოუგდეთ და შეარცხვინეთო.

დედაბერმა მტრის რაზმის მეთაური დაარიგა: „რაც უნაგირები გაქვთ, ციხის კედელთან ერთი-მეორეზე დააწყეთ და ისე ადით, თან დროშა წაიღეთ და ციხის გოდოლზე დაარჭეთო".

მტერმა სიხარულით მიიღო ეს რჩევა და, მართლაც, რაც კი უნაგირები ჰქონდათ, სულ მოიტანეს და ციხის კედელთან დაახორავეს. შემდეგ ორმაგად ერთი-მეორეზე დააწყეს და ასვლას შეუდგნენ. მეწინავეს დროშაც მიჰქონდა. როდესაც მაღლა ავიდნენ, დედაბერის მიერ წინასწარ გაფრთხილებულმა მეციხოვნეებმა ისინი დახოცეს, დროშის ტარი შუაზე გადაუტეხეს და ძირს გადმოუგდეს. სირცხვილნაჭამი მტერი ციხეს თითქოს გაეცალა. ამასობაში გმირი ქალი მტერს გამოეპარა და საიდუმლო დარანით კვლავ ციხეში ავიდა. იქ მყოფნი სიხარულით შეხვდნენ, კარგად გაუმასპინძლდნენ და მოასვენეს.

მტერი არშის ციხეს მაინც არ მოეშვა. მოშორებით მაღალ გორას შეეფინა და ზევიდან თოფის სროლა აუტეხა. ტყვია ციხის კედლებს ეხეთქებოდა და ზოგიც ციხეში ვარდებოდა. სეტყვასავით მოცვიოდა ტყვია. დილამდე არ დამცხრალა თოფის სროლა.

მეორე დღეს, როცა დედაბერმა გაიღვიძა, ხალხს მიმართა: „მე მაინც მოხუცებული ვარ და საუკუნოდ სახსოვრი საქმე მინდა ჩავიდინო ხალხის გულისთვის. თუ მტერმა სიცოცხლე დამიბნელა, ხალხმა კარგი ქელეხი გამიმართოს. მე მინდა, იმ ჩვენ მტერს თოფები ჩემზე ვასროლინო და ტყვია-წამალი სულ ჩემზე დავახარჯინოო".

არ დაიშალა დედაბერმა და შეიკაზმა, ტანზე იარაღი აისხა, მოაყვანინა თავისი ერთადერთი მამალი და თავზე ისე დაისვა, არ გადმოვარდნილიყო, კარგად დააკრა თავშალზე. გავიდა ციხის წინ კალოზე და მტრის პირდაპირ ცეკვა დაიწყო. მტერმა გორაკიდან ეს რომ დაინახა, ციხეზე თოფის სროლას თავი ანება და ახლა ამ ქალს დაუწყო სროლა.

მამალი ფრთებს შლიდა, ხან ყიოდა კიდეც. მტრის ტყვიებმა დედაბერს ვერაფერი დააკლო, ბოლოს ერთი ტყვია მამალს მოხვდა და მოკლა. თვითონ ბებერი უვნებელი გადარჩა. ამ დროს ჩამობნელდა და სროლაც შეწყდა. გმირი დედაბერი ციხეში დარანით შევიდა.

გმირმა ქალმა მეორე დღესაც ასე გაიმეორა. მტერს ტყვია-წამალი სულ დაეხარჯა და ხელცარიელი ციხეს გაეცალა, უნაგირები ციხის კედლებთან დატოვა.

ასე გადაარჩინა გმირმა ქალმა არშის ციხე დარბევასა და გაჩანაგებას, ხალხი კი – თავისუფლების დაკარგვას.

გმირი ქალი ხალხმა სიკვდილამდე კარგად აცხოვრა, ხოლო, როდესაც გარდაიცვალა, დიდი პატივით მიაბარა მშობლიურ მიწას, მისი ხსოვნა თქმულებაში გადაიტანა და შემოუნახა შთამომავლობას, როგორც სამშობლოსადმი თავგანწირვისა და გმირობის მაგალითი.





შესანიშნავი მეფუტკრეები არიან მე-11 სკოლის მოსწავლეები. პიონერთა ოთახში მათ მეფუტკრეობის სპეციალური სტენდი აქვთ მოწყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე ხვდებიან ლენინელები 40 წლისთავს

## ეკიპაჟი დერეფანში მიაბიჯებს

გიამბობთ სამი ეკიპაჟის ამბავს. არ იფიქროთ, რომ ეს ეკიპაჟები ცის კამარას კვეთენ ან შორეულ ნაოსნობაში მონაწილეობენ და ანტარქტიკის ყინულებს მიაპობენ... არა, ეკიპაჟის წევრები დინჯად უსხედან მერხებს და მხოლოდ მაშინ, როდესაც ზარი დაიწკრიალებს, თავიანთი მარშრუტით გასწევენ წინ... დერეფნისაკენ.

ბავშვების ერთი ჯგუფი კი საკლასო ოთახისაკენ მიიჩქარის. ესენი სანიტარული ეკიპაჟის წევრები არიან. ისინი ყოველდღე დაივლიან ხოლმე საკლასო ოთახებს, დაათვალიერებენ ყოველ კუნჭულს. კაპიტანი ზეინაბ თოთაძე რვეულში ინიშნავს, თუ რომელმა კლასმა რამდენი ქულა მოაგროვა.

ეს ქულები რვეულიდან საგანგებო დაფაზე იყრის თავს, აქ კი ცხადი ხდება, თუ ვინ არის გარდამავალი თასის კანდიდატი.

ამ ნიშანს მთელი რაზმეული იცნობს. მას ის ბავშვები ატარებენ, რომელთა მარჯვენამ დაამშვენა მთელი სკოლა, და ეკიპაჟსაც ლამაზი სახელი აქვს — „ხელმარჯვენი". მართლაც, ყველაფერი ეხერხებათ მუყაით ბიჭებს — საკიდების დამზადება, მერხის საზურგისა და ანჯამის დამაგრება, სკამის შეკეთება...

ბავშვების ერთ ჯგუფს გაცვეთილი რუკები გაუშლიათ მაგიდაზე, აწებებენ, ამაგრებენ და ხვალ მათ კვლავ საკლასო ოთახში ვიხილავთ. თუ ყოველივეს იმასაც დავუმატებთ, რომ ამ საღამოს სკოლის სახელოსნოში ეკიპაჟის სხვა წევრები რუკის ჩამოსაკიდებლებსაც დაამზადებენ, ყველაფერი ნათელი გახდება.

ბევრი ასეთი კარგი საქმე გაუკეთებიათ შრომისმოყვარე ნორჩ ლენინელებს. ქალაქში მხოლოდ ახლა იღვიძებს გაზაფხული, სკოლის დერეფანში და საკლასო ოთახებში კი დიდი ხანია გაზაფხულია, დიდი ხანია ჰყვავიან გულწითელა და გულყვითელა ყვავილები. აყვავებულ ბაღნარ!

---

...**ბამბა.** ბოსტნეული. სიმინდი პური, ჩაი... რა არ მოჰყავთ აზერბაიჯანელ მშრომელებს საკოლმეურნეო მინდვრებზე. მათს დიდ შრომაში თავისი წვლილი შეაქვთ პიონერებსაც. ასე, მაგალითად, ორწლედის პირველ წელს ბამბა მოიყვანეს 2717 ჰექტარზე, სიმინდი — 1052 ჰექტარზე, ბოსტნეული — 2989 ჰექტარზე. მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 260 ტონა ჩაი, 24 ტონა ტყის ხილი და კენკროვანი.

აზერბაიჯანის მოსწავლე-პიონერებმა ააშენეს 400 საკლასო ოთახი, 42 სკოლის სახელოსნო, 14 ორანჟერეია, 25 სპორტული დარბაზი, 11 საცურაო აუზი.

**აზერბაიჯანი** მარტო ნავთის რესპუბლიკა როდია. იგი ბაღების რესპუბლიკაცაა. აზერბაიჯანელმა პიონერებმა გადაწყვიტეს დაეხმარონ უფროსებს რესპუბლიკის გამწვანებაში. მათ უკვე ჩაუყარეს საფუძველი 108 ბაღსა და 4 პარკს, დარგეს 736 ათასი ძირი ხე და ბუჩქი.

„**ვისწავლოთ** და ვიმუშაოთ ისე, რომ ჩვენი მიღწევებით სამშობლო გავახაროთ!" — ასეთია სომხეთის პიონერთა დევიზი. ასობით რაზმი უკვე გავიდა „შვიდწლედის თანამგზავრის" ორბიტაზე. 1 007 რაზმი იბრძვის „თანამგზავრი რაზმის" საპატიო სახელის მოსაპოვებლად.

სომხეთის პიონერები 13 ათას სულზე მეტ მოზარდეულს, 26 ათასზე მეტ შინაურ კურდღელს, თითქმის 12 ათას ბატკანს უვლიან და ზრდიან. ამით ისინი კოლმეურნეებს დიდ დახმარებას უწევენ სამშობლოს წინაშე სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში.

## ჩვენ 17000000 ვართ

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაამგვანეს სკოლა იმ ეკიპაჟის წევრებმა, რომლებიც სკოლის გამწვანებაზე ზრუნავენ.

აი, რა კარგი სამი ეკიპაჟი შეიქმნა ორწლედის მეორე წელს გორის მე-2 საშუალო სკოლაში. ორწლედის გზაზე მათ ბევრი საქმე ელით.

## ის, რაც ეტიკეტს არ აწერია

თეთრ ხალათებში გამოწყობილი ბავშვები სწრაფი ნაბიჯით მიემართებიან იმ გოლიათი მანქანებისაკენ, საიდანაც საამო სურნელი იფრქვევა. რამდენი საათი გულდაგულ არჩევდნენ პიონერები ხილს, ახარისხებდნენ და ასუფთავებდნენ; ახლა კი მათ თვალწინ ეს ხილი ვეებერთელა მანქანებში იხარშება. მცირე ხანიც და მურაბა მზად იქნება. ავტომატი მანქანები ქილებში ჩამოასხამენ, კოხტა ნახატიან ეტიკეტებს დააწებებენ. შემდეგ, ვინ მოთვლის მსოფლიოს რომელ კუთხეში არ გაითქვამს სახელს გორული მურაბა და კონსერვები!

მთელმა გორმა იცის, რომ საკონსერვო ქარხანა პიონერებმა აიღეს შეფად. მათ არავინ ეძახის, როცა ხილისა და ბოსტნეულის სიმრავლეა და მუშა-ხელი მეტად ძვირფასია, პიონერებს მაშინ შინ რა გააჩერებს, შეიკრიბებიან და ქარხანას მიაშურებენ.

ალისფერყელსახვევიანი გოგო-ბიჭები, ხილისა და ბოსტნეულის გარჩევასთან ერთად, ტექნოლოგიურ პროცესებსაც ეცნობიან, აქ ატარებენ ისინი შეკრებებს: „ვისწავლოთ, ვიშრომოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად!“.

იქ, სადაც სწავლა მჭიდროდ დაუკავშირდა შრომას, მრავალი მოსწავლის გულში ჩაისახა მისწრაფება — სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მოვიდეს აქ, გახდეს უფროსი თაობის ცვლა.

## ერთი ამანათის თავგადასავალი

რომ იტყვიან, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარაო, აი, ასეთი შორი მანძილი გამოიარა იმ ამანათმაც, რომელზედაც ნორჩ ტელმანელ პიონერებს დაეწერათ:

„გორი. 1-ლი სკოლა. III კლასის მოსწავლეებს“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ შვარცენბერგიდან მოსულმა ამანათმა დიდი სიხარული გამოიწვია. ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ბავშვები გერმანელ პიონერთა დროშას, სამკერდე ნიშნებს, ლურჯ ყელსახვევებს. დაინტერესდნენ, რატომ ატარებენ ტელმანელი პიონერები ლურჯ ყელსახვევებს. პასუხი წერილში ეწერა: „ჩვენი ყელსახვევის ფერი მუშათა ხალათების ფერია—ლურჯი ფერი ხომ შრომის სიმბოლოა!“.

დიდხანს ათვალიერებდნენ პიონერები ღია ბარათებსაც, რომლებზეც ღირსშესანიშნავი ადგილებია გამოსახული. რამდენიმე დღის შემდეგ კი გორელებს საპასუხო ამანათი მიჰქონდათ ფოსტაში. ამანათში ალისფერი ყელსახვევები და სამკერდე ნიშნები ეწყო, აქვე იყო „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს ულამაზესი ადგილების ფოტოსურათები... ასე ჩაეყარა საფუძველი ორი ქვეყნის ბავშვთა მეგობრობას.

გ. ბახტაძე

ათასი ფრთა ქათამი გამოზარდეს მეფრინველეობის ფერმაში ნოვგოროდის ოლქის ქ. ჩუდოვის მე-8 საშუალო სკოლის პიონერებმა. თოვლისფრად მოქათქათე ზღვა გეგონება, როცა გახედავ ამდენ ქათამს, ერთად თავმოყრილს. რამდენი ფხიზელი თვალი და გამრჯე ხელია საჭირო ამ ფრინველთა მოვლა-პატრონობისათვის!

უხარიათ ბავშვებს: შეუძლიათ ამაყად თქვან, სიტყვა შევასრულეთო. და მერე როგორ შეასრულეს! ნაკისრი ვალდებულებით 20 ათასი ფრთა ქათამი უნდა გამოეზარდათ, გამოზარდეს კი რვა ათასით მეტი. ეს მცირე წვლილი როდია.

## 17000000

გომელის ოლქის დაბა ველჩიცაში ორი, ერთმანეთის მსგავსი სკოლა დგას გვერდი-გვერდ, ორივე ქვითაა აგებული, ორივე ორსართულიანია. ოღონდ ერთი ძველია, მეორე კი სრულიად ახალი.

ახალი სკოლა პიონერ-მოსწავლეებმა ააშენეს და ხუმრობით მას „თვითნაშენ სკოლას“ ეძახიან. რაზმეულის ყველა პიონერი მონაწილეობდა მშენებლობაში და სამშობლოს მრავალი ათასი მანეთი დაუზოგეს. ახლა ბავშვები ერთ ცვლად მეცადინეობენ.

პიონერები იბრძვიან იმისათვის, რომ მათი სკოლის თავზეც აკიაფდეს „თანამგზავრი რაზმეულის“ წითელი ვარსკვლავი.

# ამაყად ელვარებს ლალისფერი ვარსკვლავი

შორეული ლაშქრობების მოწყობა ტრადიციად იქცა გორის მე-9 საშუალო სკოლაში. ორწლედის მეორე წელს პიონერებმა სამი შორეული მრავალდღიანი ლაშქრობა მოაწყეს.



ქალაქის ყველა სკოლაში არის ვ. ი. ლენინის კუთხეები, სადაც პიონერები კარგად ეცნობიან დიდი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ქბაშის მეორე საშუალო სკოლის სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოში არასოდეს არ ყოფილა ისეთი გამოცოცხლება, როგორიც ზამთრის არდადეგების პირველ დღეებში. რევაზ დუნდუა, ზაურ ცომაია, ზურაბ ჩაგუნავა და გურამ გვაზავა გამალებით ხერხავდნენ მოგრძო ფიცრებს, აშალაშინებდნენ და გამზადებულ ნაწილებს ცალკე აწყობდნენ. როცა ყველაფერი მზად იყო, ოსტატებმა ფიცრის ნაწილები დიდ ვარსკვლავად შეკრეს, ნორჩმა ელექტროტექნიკოსებმა შიგ ნათურები გაიყვანეს და ლალისფრად აელვარებული ვარსკვლავი სკოლის ფასადზე ჩამოჰკიდეს.

ეს 6 იანვარს მოხდა. მთელმა რაიონმა გაიგო იმ დღეს, რომ კარგი პიონერული საქმეებისათვის და ასპროცენტიანი აკადემიური მოსწრებისათვის რაზმეულს „შვიდწლედის თანამგზავრი რაზმეულის“ სახელი მიეკუთვნა.

მაგრამ, იცით, როგორ მიაღწიეს ამ წარმატებას?

ჯერ კიდევ შარშან, გაზაფხულზე, როცა სასწავლო წელი დამთავრდა, აღმოჩნდა რომ I, II, III, IV და V რაზმების პიონერებს არც ერთი ორიანი არ გამოჰყოლიათ. პირველი სექტემბრიდან გააჩაღეს ბრძოლა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ ეს წარმატება. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ საკლასო ჟურნალში პირველსავე კვირას ჩაიწერა ორიანები. გურამ გვაზავამ, ტარიელ ცომაიამ, ნანული ჭანტურიამ, ნატა გოგინაშვილმა, ჰამლეტ სახვაძემ, და კიდევ რამდენიმე მოსწავლემ ორიანები მიიღეს, რითაც განსაცდელში ჩააგდეს საპატიო წოდებისათვის მებრძოლი რაზმეული. საზრუნავი გაუჩნდათ რაზმებისა და რაზმეულის საბჭოს წევრებს — მათ კიდევ ერთხელ შეახსენეს ერთმანეთს პრინციპი — „ერთი ყველასათვის, ყველა— ერთისათვის“ და გადაწყვიტეს მხარში ამოდგომოდნენ ჩამორჩენილებს. გურამი, ტარიელი, სულიკო, ნანული, ნატა ახლა კმაყოფილებით და მადლობის გრძნობით იხსენიებენ მედიკო ქვილითაიას, ლუიზა ლილუაშვილს, მანანა კაჭარავას, ლუიზა გახოკიძეს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ თავიანთ თანაკლასელებს და უმცროს მეგობრებს მეოთხედის ბოლოს ორიანები არ გამოჰყოლოდათ. ამ წარმატებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სხვა პიონერებთან ერთად ჩამორჩენილებიც ჩააბეს ისტორიის, ფიზიკის, მათემატიკის და სხვა წრეებში, ამან კი მათ ბევრად გაუადვილა ცალკეული საგნების შესწავლა.

ახლა რაზმეულის ყველა წევრი მტკიცედ იცავს დღის რეჟიმს, კლასებში ყოველთვის სანიმუშო სისუფთავე და წესრიგია, ყურადღებით ისმენენ ახალ გაკვეთილს. არასოდეს არ გადასდებენ ხოლმე ხვალისათვის იმ საქმეს, რისი გაკეთებაც დღესაა საჭირო და აუცილებელი.

პიონერები დარწმუნებულნი არიან, რომ ლალისფერი ვარსკვლავი კიდევ დიდხანს იელვარებს მათ სკოლაზე.

— ახე იხარშება ხილფაფა,— უხსნის ოსტატი მე-4 სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც საკონსერვო ქარხანას ეხმარებიან.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩამქრალი ნათურები

როდამ ჩაჩანიძე

ნახ. ჯ. ლოლუასი

ფანტასტური მოთხრობა*

## მეორედ მოსული საშინელება

ჯურხას ერთბაშად გაეღვიძა, თითქოსდა ვიღაცამ ხელი ჰკრაო. შიშით გაახილა თვალები და წამსვე ფეხზე წამოიჭრა. ფარანი აანთო. ორივე კარავი თავის ადგილზე იდგა. ერთი მათგანიდან გივის გარეთ გამოჩრილი გრძელი ფეხები მოჩანდა.

„ჩამძინებია! კიდევ კარგი, რომ არ გვესტუმრა. კარგ დროს კი გაგვატარებინებდა“, — გაიფიქრა ჯურხამ და შერცხვა, რომ მკვდარივით ჩაეძინა და მეგობრები მიატოვა.

შუქი აღარ ჩაუქრია. ფეხი გამართა და გაიარა. მერე ისევ უკან მობრუნდა. კარავთან ახლა ლევანი იდგა. თვალებს იფშვნეტდა.

— კარგად გეძინა? — ჰკითხა ჯურხამ.

— არაუშავდა.

კარვიდან ნოდარიც გამოძვრა.

ჯურხამ მეგობრებს ბეჭებზე ხელი მოჰხვია.

— გივიმ ნახა ის უცნაური არსება, — თქვა მან.

— რა! — გაიკვირვეს ბიჭებმა.

— რა და ის ჩვენი აღმშენებელი კიდევ გვესტუმრა. გივიმ ფარანი აანთო და გააქცია. როგორც ამბობს, დათვზე უფრო მძლავრი ცხოველია. ორ ფეხზე დადის. შეიძლება მართლაც დათვია, აქ უფსკრულს შეეგუა და გადაგვარდა...

— არა, შეუძლებელია! — თქვა ნოდარმა, — უფსკრულის ცხოველი არ იქნება, თორემ მაშინ თვალებიც აღარ ექნებოდა. სინათლეს ვერ შეიგრძნობდა.

— ჰო, მართალი ხარ, — სწრაფად დაეთანხმა ჯურხა, — მაგაზე არ მიფიქრია. ალბათ, უფსკრულის მკვიდრი არაა, მაგრამ, ასეა თუ ისე, რაღაც უბედურება დაგვდევს. ამ დილითვე ავიშლებით, აქ წერილს დავტოვებთ და გზას განვაგრძობთ.

— წინ წასვლა უაზრობაა, — ჩაილაპარაკა ლევანმა.

— ცოტაც განვაგრძოთ გზა, სურსათი გვაქვს, მერეც მოვასწრებთ გამობრუნებას. სადღაც ახლოს არიან ჩვენი მეგობრები და მათი მიტოვება დანაშაულია. ამას გარდა მერაბი?...

* * *

გივიმ უფრო გვიან გაიღვიძა. მთქნარებითა და ზლაზვნით ადგა. ნოდარს უკვე მოემზადებინა საუზმე და გივისლა ელოდნენ.

— უთხარი ამათ, დევებმა რომ მოგვაკითხეს? — თქვა მან ღიმილით და ჯურხას შეხედა.

— ვუთხარი. მოდი, ვისაუზმოთ და გზას გავუდგეთ.

— საითაა ჩვენი მარშრუტი?

— წინ, მხოლოდ წინ.

— აი, ეგ მესმის, სხვანაირად ვერც კი წარმომედგინა.

გივიმ ჩაიდანი გადმოაპირქვავა და წყალი სახეზე შეისხა. მერე სწრაფად შეიმშრალა ხელ-პირი და სასაუზმოდ დაჯდა.

ჭამდნენ ნელა და უხმაუროდ. თითქოსდა ერთმანეთს ემდურიანო, არც ერთი არ იღებდა ხმას. ასევე უხმაუროდ ჩაალაგეს საუზმის შემდეგ ჩანთებში ყველაფერი. შემდეგ ჩანთები ზურგზე მოიგდეს და გზას გაჰყვნენ.

მცირე დარბაზის ბოლოში გრძელი და ვიწრო ტალანი იწყებოდა, ორი დიდი ხვრელი ჩანდა. ნოდარმა ერთი მათგანი მაშინვე იცნო. ეს სწორედ ის ხვრელი იყო, საითაც თვითონ დაეშვა. ჯურხამაც გეზი ამ ხვრელისაკენ აიღო.

პირველი ჯურხა შევიდა ხვრელში და მუხლამდე წყალში შეტოპა. მის უკან ნოდარი მიდიოდა, შემდეგ ლევანი, სულ

*დასასრული. იხ. „პიონერი“ № 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოს გივი. ჯურხას რამდენჯერმე ფეხი აუცურდა და კინაღამ დაენარცხა. ზურგჩანთიდან რკინისწვეტიანი ჯოხი ამოაძრო და დაიბჯინა. ეს ვიწრო და წყლიანი ხვრელი რაღაც გაუთავებელ რამედ მოეჩვენათ. თანაც ცივმა წყალმა ფეხები გაუყინათ.

— დალახვროს ღმერთმა, აღარ თავდება, — ჩაიდუდუნა გივიმ.

ერთბაშად უკანიდან საშინელი ხმაური გაისმა. ეს იყო რაღაც გამაყრუებელი, ჯოჯოხეთური ხმა. ყველანი შეკრთნენ და ერთ ადგილზე გაშეშდნენ. გივიმ იგრძნო, რომ ჰაერის ძლიერი ნაკადი მოაწვა, ისე მაგრად მოაწვა, რომ კინაღამ გადათელა. იგი გაიჩაჩხა და არაადამიანური ხმით იყვირა:

— წინ, წინ გაიქეცით, წყალი მოდის!..

ჯურხა ადგილს მოწყდა. სხვებმაც მიბაძეს და კისრისტეხით მოკურცხლეს. გარბოდნენ, რაც კი შეეძლოთ, მაგრამ გრძნობდნენ, რომ მანძილი საშინელებასა და მათ შორის თანდათან მოკლდებოდა. ჯურხამ იგრძნო, რომ ხვრელი გაგანიერდა. სული მოითქვა და კედელზე იწყო აცოცება.

— ზევით, ზევით შევაფაროთ თავი, თორემ წყალი წაგვლეკავს!

ჯურხას სხვებიც მიჰყვნენ და, როგორც იქნა, ხვრელის ჭერს მისწვდნენ და ღამურებივით ჩამოეკიდნენ. ხმაური კი თანდათან ახლოვდებოდა. მერე ის იყო, ერთბაშად მოვარდნილმა წყალმაც გაიქროლა ქვევით, გაიქროლა ზათქითა და ღრიალით, ქვების მტვრევით. გივიმ ღიმილით ჩაიხედა ქვევით.

— თუ სადმე წამოეწია ეს წყალი იმ ჩვენს აღმშენებლებს, ვაი დედასა, იმათ კი დააყრის სეირს!

— შენ ჯერ ჩვენი სეირი ნახე, მერე სხვაზე იფიქრე! — უთხრა ლევანმა. — შეხედე, წყლის დონე მატულობს, თუ აქამდე ამოაღწია, მერე მშვიდობით, დევების ნახვა აღარ გვიწერია.

წყლის დონე მართლაც მატულობდა ისე, რომ გივიმ სულ მალე იგრძნო თუ როგორ შეცურდა მისი ფეხები წყალში.

— ღმერთმანი, ეს აღარც კი ხუმრობს! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მან და სცადა, ცოტა ზევით აწეულიყო, მაგრამ დიდი ლოდი მოუწყდა და კინაღამ ისიც თან გადაიტანა.

— აი, დალახვროს ეშმაკმა! თუ სიკვდილი მიწერია, მიქელ გაბრიელიც სადღაც ახლოსაა, — ჩაიდუდუნა მან და, როგორც იქნა, ზევით აჩოჩდა.

წყალმა ისევე სწრაფად დაიკლო, როგორც მოვარდა — სულ რამდენიმე წუთში ერთ პატარა რუდ იქცა და სპელეოლოგებიც ისევ ძირს ჩამოცოცდნენ.

— გადავრჩით, — გაიღიმა ნოდარმა.

— ნამდვილად! — დაეთანხმა ლევანიც.

ჯურხა ისევ წინ წავიდა. ხვრელი ახლა კირქვაში მიდიოდა. კარგად შეამოწმა კირქვიანი კედლები.

— ჩქარა მომყევით, მოხეტიალე გაზს არ წავაწყდეთ, თორემ ოთხივენი გავიგუდებით. წინ მე ვივლი. თუ შევფერხდი, მომეშველეთ.

მეგობრები ჯურხას ცოტათი ჩამორჩნენ. ჯურხა ახლა ისე მიაბიჯებდა, თითქოსდა რაიმეს ეპარებაო. კირქვიანი ხვრელი გათავდა და ერთბაშად დიდ დარბაზში აღმოჩდნენ. ჯურხა შედგა, ფარნიანი ხელი ძირს დაუშვა და დაიყვირა.

— დავიღუპეთ!

ათიოდე ნაბიჯზე ოთხი გიგანტი იდგა. გიგანტი თუ დევკაცი. ვეებერთელა ლოდები აღემართათ და სპელეოლოგებს დაჭყურებდნენ. საკმარისი იყო ხელი ეშვათ იმ ლოდებისათვის, რომ ექსპედიციის წევრებისაგან არაფერი დარჩებოდა.

წინ კიდევ ორი უზარმაზარი სვეტი შეინძრა. ისინი ჯურხას მართლაც სვეტები ეგონა, სინამდვილეში კი ცოცხალი არსებები იყვნენ.

ამ არსებებმა რაღაც სასიამოვნოდ დაუსტვინეს, მერე ადამიანებთან მივიდნენ. ერთმა მათგანმა, რომელიც სხვებისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ ტანი თეთრი ბალნით ჰქონდა დაფარული, ჯურხას ხელი ბეჭზე დაჰკრა. ეს, ალბათ, ფრთხილად მოიმოქმედა, მაგრამ ჯურხასათვის ძლიერ დარტყმას ნიშნავდა და ზურგით კედელს მიენარცხა.

— იეტები, იეტები არიან, ჩაილაპარაკა გივიმ და ჯურხა წამოაყენა.

ჯურხას სახეზე ერთბაშად გამოისახა შიში, ცნობისმოყვარეობა და გაოცება. მან თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა ეს ორფეხა გიგანტები. მისი გაოცება იმდენად დიდი იყო, რომ



ჯურხამ იეტს მეგობრულად დაარტყა მხარზე ხელი. იეტმა ვეებერთელა პირი დააღო და ჩაყვითლებული ბასრი კბილები გამოაჩინა.



ლევანმა კედელში დატანებულ ფანჯარაში ბანჯგვლიანი თავი დაინახა. იეტს, ეტყობოდა, რაღაც უნდოდა ეთხოვა მათთვის.

მორიდების გრძნობაც კი სძლია და ხელით შეეხო ყველაზე წინ მდგარს.

იეტმა რაღაც თავისებურად დაუსტვინა. ჯურხა შეკრთა და იეტმა საოცარი ხარხარი ასტეხა.

— დავიფიცებ, ესენი არც ისე საშიშნი არიან, — დაიძახა ჯურხამ. ახლა სულ გაუქრა შიშის გრძნობა და იეტს მეგობრულად დაარტყა მხარზე ხელი. იეტმა ვეებერთელა პირი დააღო და ჩაყვითლებული ბასრი კბილები გამოაჩინა.

ჯურხა შეკრთა.

— თუ ეს ვაჟბატონები ხორცს მიირთმევენ, ეჭვი არაა, ამაღამ მეფური სუფრა ექნებათ განსაკუთრებით შესანიშნავი იქნება შამფურზე შემწვარი გივი — თქვა ლევანმა და დაუფარავი შიშით შეხედა კბილებდაკრეჭილ იეტს.

შორიდან ერთბაშად სტვენა მოისმა. იეტები აფუსფუსდნენ, ტყვეები ერთად მიყარეს. გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და დარბაზში ვეებერთელა იეტი გამოჩნდა. მას გულზე ეკიდა დიდი და ფართო კბილების ყელსაბამი. ეტყობოდა, ამით ძლიერ მოსწონდა თავი. ახალმოსულს სტვენით მიესალმნენ დამხვდურნი. ჯურხამ წამსვე განსაზღვრა, რომ ეს გიგანტური იეტი ამ უცნაურ არსებათა წინამძღოლი და ბელადი იყო.

ბელადმა ტყვეები დაათვალიერა. მერე ჯურხას ზურგიდან ჩანთა ოსტატურად მოაშორა. მაგარი ქსოვილი სწრაფად გაფხრიწა და იქიდან ნამცხვრები და კონსერვები ამოყარა. კონსერვებისათვის ხელი არ უხლია, მხოლოდ ნამცხვრები ჩაიტენა პირში. მადიანად და გააფთრებით ჭამდა. თვალის დახამხამებაში გაათავა ერთი მოზრდილი პარკი ნამცხვარი. მერე დაუსტვინა. იეტები ტყვეებს შემოეხვივნენ და წინ გაირეკეს. სულ წინ კი ის იეტი მიდიოდა, ჯურხამ ბეჭზე ხელი რომ დაჰკრა. დროდადრო ის ჩერდებოდა, ელოდა, ვიდრე ტყვეები დაეწეოდნენ და შემდეგ აგრძელებდა გზას. ასე იარეს დიდხანს, ძალიან დიდხანს. იეტებმა შესანიშნავად იცოდნენ ყველა გასასვლელი, ისე გულდაგულ მიდიოდნენ. ჯურხამ განგებ ფარანი ჩააქრო. იმ წამსვე ყურთან საოცარი სტვენა მოესმა. მერე მძლავრი ხელი ჩასჭიდა ბეჭში. ჯურხამ ფარანი აანთო. მის წინ ბელადი იდგა. იგი უცნაურად ქსუტუნებდა და რაღაცას ანიშნებდა. ჯურხას, რასაკვირველია, ბევრი ვერაფერი გაეგო. იმას კი მიხვდა, რომ იეტებს ასეთი ხუმრობა მაინც და მაინც არ სიამოვნებდათ. ხვრელები აღარ თავდებოდა. სულ მიდიოდნენ და მიდიოდნენ. დაიღალნენ. ჯურხა შეჩერდა და ბელადს დაუწყო ახსნა, საჭიროა დასვენებაო. მისდა გასაოცრად, ბელადმა გაუგო, გაიცინა და ყვითელი კბილები გადმოყარა. ჯურხა დაჯდა, სხვებიც ჩამოჯდნენ და ბოხჩები გახსნეს. ნოდარმა კონსერვის ქილა გახსნა, ბელადს მიაწოდა. ბელადმა დასუნა და ზიზღით სახე დაემანჭა.

— მგონი ხორცს არ მიირთმევენ. გადარჩი, გივი! — დაიძახა ლევანმა.

— აფსუს, როგორ შეახრამუნებდნენ! — დაუმატა ნოდარმა.

გივიმ ამასობაში პარკიდან ნამცხვარი ამოალაგა. ბადრაგს ჩამოურიგა. ყველანი მადიანად შეექცეოდნენ. ტალანში მეწინავე იეტიც გამოჩნდა. ჯურხასთან დადგა და წვრილი თეთრი თვალებით მიაჩერდა. ჯურხამ წამსვე გადაალაგა ნამცხვრები და ახლა ამ იეტს მიაწოდა. იეტმა გაიცინა, თითქოს მადლობის თქმა სურდაო, რაღაც მელოდიურად დაუსტვინა და ნამცხვრები ჩამოართვა.

მალე მორჩნენ საუზმეს, ისევ აიშალნენ და ტალანს გაჰყვნენ.

თითქმის ორი საათი მიდიოდნენ შეუსვენებლივ. მერე, ერთბაშად წინიდან სინათლე გამოჩნდა. იეტებმა სტვენა ატეხეს.

— სადღაც გამოვედით — ეს ნამდვილი დღის შუქია, — დაიძახა ლევანმა.

ამაში ეჭვი არავის შეჰპარვია. კიდევ უფრო აუჩქარეს ფეხს. შორს, იეტების ხროვა გამოჩნდა — დიდები და პატარები, მოხუცები და ახალგაზრდები, იეტთა მთელი მოდგმა გამორბოდა თვისტომთა შესახვედრად. ბელადი ახლა წინ წავიდა. იგი რაღაც შემაზრზენი სტვენით მიხტოდა ქვის ოღროჩოღრო იატაკზე.

იეტების ხროვა შედგა. ბელადმა სტვენით ჩამოუარა მათ. ისინიც სტვენით პასუხობდნენ. შემდეგ მთელი ეს ხროვა დაიძრა იქით, საიდანაც სინათლე მოდიოდა. ხვრელში ისეთი სტვენა, ყვირილი და ხმაური იყო, რომ თავი დიდ ბაზარში გეგონებოდათ.

ბოლოს, როგორც იქნა, გათავდა ეს გრძელი ხვრელი და წინ დიდი ტბა გამოჩნდა. ტბა მთლად ლურჯი და კამკამა იყო. ტბის ირგვლივ აქა-იქ გაბნეული სახლები ჩანდა. სახლები ძალიან შორი-შორს იდგა. ისინი უზარმაზარი უხეში ლოდებისაგან იყო ნაშენი. სახლებს იქით და ირგვლივ ყოველ მხრიდან კლდეები იყო, ისინი დიდ წრეს ქმნიდნენ და შემდეგ ზევით მიიმართებოდნენ. ზევით, შორს, ძალიან შორს, ჩანდა მოწმენდილი ცა.

— ჩვენ ვიმყოფებით გიგანტური კრატერის ფსკერზე, -- თქვა ჯურხამ.

— თუ აქედან ცოცხალმა გავაღწიე, დავიტრაბახებ, რომ ნამდვილად მსოფლიოს ყველაზე უფრო დიდი უცნაურობანი მე ვნახე.

— მეც დაგიმოწმებ მაგას, თუ კი გავაღწიეთ, — ჩაილაპარაკა ნოდარმა.

ამასობაში იეტები ერთ გრძელ რიგად გაიჭიმნენ. ერთმანეთს ხელი ჩაავლეს და რაღაც ველური სტვენა ასტეხეს. ეს უცნაური რიტუალი საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. ბოლოს, როგორც იყო დაიქანცნენ. ოთხმა დევკაცმა ხის ფესვებისაგან დაწნული საზიდრით თევზები მოიტანა და ძირს დაყარა. იეტები წამსვე დააცხრნენ უმ თევზს. ჭამდნენ გააფთრებით, მადის მომგვრელად, ქერცლიანად, ძვლიანად ჭამდნენ. შემდეგ ტბასთან მივიდნენ, ზედ გადაემხვნენ და სტომაქის დარჩენილი სიცარიელე წყლით ამოავსეს. ბოლოს დაწვნენ და გულისამრევი ბოყინი ატეხეს. მთელი ეს ცერემონიალი იმით დამთავრდა, რომ ნელ-ნელა დაიშალნენ. პირველად პა-

ტარა იეტები გაუყვნენ სახლებისაკენ, მერე ქალები და ბოლოს — მამაკაცები. მათ ტყვეებიც თან გაირეკეს. გზადაგზა ბადრაგს თანდათან აკლდებოდნენ იეტები. როცა ერთ მოზრდილ შენობას მიადგნენ, ტყვეებთან მხოლოდ სამიღა დარჩა. ამ სამში ის თეთრი იეტიც ერია. როგორც ეტყობოდა, ახლა ის სხვებზე უფროსი იყო, რადგანაც ბრძანებებს მხოლოდ ის იძლეოდა.

ერთმა იეტმა ტყვეებს შენობაში შესასვლელზე მიუთითა, მეორემ ჯურხას ზურგიდან მოხერხებულად აართვა ზურგჩანთა, მაგრამ ეს იმ თეთრ იეტს არ მოეწონა, დაუსტვინა, თავის ხელქვეითს ჩანთა გამოსტაცა და ისევ ჯურხას გადასცა. ჯურხამ მადლობის ნიშნად თავი დაუქნია და გაუღიმა.

ტვირთი ასევე სხვებსაც შეუნარჩუნეს.

ჯურხამ ოთახში ხელფარანი აანთო. იატაკი ქვისა იყო. ზედ ხმელი ბალახი ეყარა. სხვა რამ ოთახში არ ჩანდა. თივა და ქვა — ეს იყო და ეს!

თეთრი იეტი ოთახში შემოჰყვათ. აყლაყუდა გივის ხელი ბეჭზე მორიდებით დაჰკრა. მერე გრძელი, ბალნიანი თითი გულზე მიიდო.

— ჰიტო, ჰიტო, — დაუსტვინა მან და ახლა თითი გივის მიაბჯინა მკერდზე.

გივიმ მაშინვე გაუგო. თითი მკერდზე მიიდო.

— გივი, გივი, — დაიძახა ხმამაღლა, თითქოსდა მის წინ მდგარი არსება ყრუ ყოფილიყოს.

— ჰივი, ჰივი, — გაიმეორა იეტმა.

— არა, გივი, გივი!

— ჰივი, ჰივი! — კვლავ ჯიუტად თქვა იეტმა.

— მოეშვი, ხომ ხედავ „გან"-ს ვერ წარმოთქვამს, — ჩაერია ლაპარაკში ჯურხა. ახლა მასაც მიადო თითი იეტმა და ჯურხამაც იმ წუთში უპასუხა:

— ჯურხა, ჯურხა.

— ჯუხა, ჯუხა, — გაიმეორა ჰიტომ.

— აგრე იყოს, ძმობილო! რა ბედენაა ჩემთვის ჯურხას დამიძახებ თუ ჯუხას!

იეტმა გაიცინა და თავისი ყვითელი, დიდრონი კბილები გამოაჩინა. მთლად თევზის სუნად ყარდა. შებრუნდა და ბაჯბაჯით გავიდა.

— აბა, ვივახშმოთ, თქვენი ჭირიმე, ვივახშმოთ, თორემ ლამისაა სული გამძვრეს, — თქვა გივიმ და ზურგჩანთა მოიძრო. იმ წამსვე დატრიალდნენ, კონსერვები გახსნეს და კარგად ივახშმეს.

— ესეც თქვენი კრატერისძირა ტბა! — თქვა ნავახშმევს ჯურხამ, —ალბათ, ჩვენებიც აქ არიან ახლოს. ეს იეტი საკმაოდ კეთილი ჩანს. ეტყობა, გავლენაც აქვს. ჰიტოსთან დამეგობრება მოგვიწევს. ის, ალბათ, ბევრ რამეს შეგვატყობინებს. ახლა ჩვენი ნამცხვრების მარაგი გადავმალოთ. ამ უძლებებს ნამცხვრები ძლიერ უყვართ. ჩვენც ის მათ მოსაქრთმავად გამოვიყენოთ.

— აბა, სად უნდა გადავმალოთ! ხვალ შეიძლება აქედან აგვყარონ და სდიე მერე! — თქვა გივიმ.

— არა, რადგან ასე შორს მოგვიყვანეს, ალბათ აღარც აგვყრიან და ბარემ ოჯახურად მოვეწყოთ.

ჯურხამ სიგარეტს მოუკიდა ლევანმა კედელში დატანებულ ერთადერთ ფანჯარაში დიდი ბანჯგვლიანი თავი დაინახა.

— ჰივი, ჰივი, — დაუსტვინა იმ თავმა

გივი ფეხების თრევით ადგა.

—რას გადამეკიდა ეს პირმყრალი, — შიშით ჩაილაპარაკა გივიმ და იეტისაკენ წავიდა. ჯურხაც მიჰყვა.

იეტი პატარა წვრილი თვალებით მისჩერებოდა ადამიანებს და სტვენდა. ეტყობოდა, რაღაც უნდოდა ეთხოვა მათთვის.

ჯურხამ სიგარეტი მიაწოდა, მაგრამ იეტმა დაახვ[illegible] დამანჭა. მაშინ ნამცხვარი მისცეს. იეტმა უარი [illegible] ნათურა გაუწოდა. იეტმა ხელიც არ ახლო. ლევანმა კიდევ ერთხელ გასინჯა ზურგჩანთა. იქ მარილის პარკი იპოვა და იეტს გაუწოდა. იეტმა ხელი გაშალა. ლევანმა ხელზე დაუყარა მარილი. ჰიტრომ იმ წამსვე პირისაკენ გააქანა. სწრაფად შესანსლა და გულზე ხელი დაირტყა.

— უყურე, ამათ მარილი ჰყვარებიათ! — აღტაცებით დაიძახა ლევანმა და კიდევ გაუწოდა პარკი ჰიტოს, მაგრამ მან მეტი არ აიღო, თითი ლევანს მიაჭირა მუცელზე — დანარჩენი თქვენ მიირთვითო.

— საკმაოდ თავაზიანია... — ჩაილაპარაკა ლევანმა.

იეტი ფანჯარას მიეფარა. ტყვეები ხმელ ბალახზე მიეყარნენ და ხვრინვა ამოუშვეს.

## სოფელი კრატერის ფსკერზე

დიდხანს ეძინათ. როცა გაიღვიძეს, მზის მკრთალ შუქს კრატერის ღრმა ფსკერშიც ჩაეღწია. ლევანი ფანჯარასთან მივიდა. წინ ლურჯად მოლივლივე ტბა ჩანდა, ტბის ნაპირზე — ბალახი, აქა-იქ — ველური ბუჩქები, შემდეგ — მთლად შიშველი კლდეები. კლდეებზე ზოგან წითელი გველებივით ეკიდნენ გრძელი და მსხვილი ფესვები. კლდეების ძირში თითო-ოროლა ვეებერთელა ქვით ნაგები სახლებიც ჩანდა.

„ძალიან შორი-შორის ცხოვრობენ, — გაიფიქრა ლევანმა, — მთელ სოფელში სულ ათიოდე სახლი თუ იქნება". და იმ წამსვე შეუდგა თვლას. თერთმეტი დათვალა. მეთერთმეტე მაღალ კლდეზე იდგა. „ამათ თუ ბერები ყავთ, ალბათ, იქ ცხოვრობენ," ხმადაბლა ჩაილაპარაკა.

მის წინ რაღაც შეინძრა. ლევანი შეკრთა, მაგრამ უმალვე დაწყნარდა: ყარაულ იეტს ზედ ფანჯარასთან მოეყარა ხმელი ბალახი და ეძინა. იგი გულაღმა იწვა. პირი დაეღო და უხმაუროდ სუნთქავდა. ლევანმა ახლა შეამჩნია, რომ მას თავზე თმა შესამჩნევად შეთხელებოდა. ღია პირიდან კი ჭიანი კბილები მოუჩანდა, ზოგან მხოლოდ ღრძილებიღა შერჩენოდა.

— ბებერია, — უჩურჩულა ლევანმა გივის.

— ჰო, ალბათ, მალე ჩვენს ჭირსაც წაიღებს.

სოფელში და გზაზე სულიერი არავინ ჩანდა. ტყვეებმა დაასკვნეს, რომ ეს ზარმაცი არსებანი ადრე ადგომით მაინც და მაინც არ იწუხებდნენ თავს. ამის უტყუარი საბუთი ისიც გახლდათ, რომ მათ წინ გაშხლართული გიგანტი ახლა შუაძილში იყო.

— ლევან, ლევან! გაიხედე, ვინ მოდის, — შეჰყვირა გივიმ.

ამ შეყვირებაზე ფანჯარას სხვა ტყვეებიც მიადგნენ. იეტმაც გაიღვიძა და თავისი გრძელი ყურები დააპარტყუნა. მერე დაუსტვინა. სტვენაზე სადღაც ზემოდან გაისმა პასუხი.

— შეხედეთ! ხედავთ? — ყვიროდა გივი.

შორს, გზაზე მერაბი მოაბიჯებდა მძიმედ. ხელში რაღაც მოქნილი ჯოხი ეჭირა და ხელებზე იხვევდა. მის უკან თეთრი იეტი ჩანდა. ხანდახან მერაბის ყურთან თავს ხრიდა და რაღაცას უსტვენდა. მერაბს, რასაკვირველია, მისი არ ესმოდა. გაკვირვებული შეჰყურებდა ქვემოდან და ყასიდად თავს უქნევდა.

იეტი და მერაბი მალე მოადგნენ შენობას. იეტმა მერაბი წინ გამოატარა, მერე მოიხარა და თვითონაც შემოვიდა უკერო სახლში. რაღაც დაუსტვინა, ტყვეებმა თავის დაქნევით უპასუხეს. უეცარმა სტუმრობამ ყველანი ისე დააბნია, რომ ხმას ვერ იღებდნენ. პირველად ლევანი გამოერკვა.

— მერაბ, ბიჭო!

ჯურხამ ხელი მოხვია და ჩაკოცნა მერე სხვებმაც გადაკოცნეს. მთელი ამ დროის განმავლობაში ჰიტო ფეხუცვლელად

იდგა და იღიმებოდა. შემდეგ რაღაც დაუსტვინა და გავიდა.

— მაინც სად იყავი, ბიჭო, როგორ შეგიპყრეს? — ჰკითხა ჯურხამ.

— ძალზე პატარა ისტორიაა. მეძინა. გამეღვიძა გრძელ ტომარაში. ორი გიგანტი მიმათრევდა. მერე აქ მომიყვანეს. სადღაც ვიღაცასთან გავათიე ერთი ღამე, დღეს კი იმ თეთრმა იეტმა უთენია გამაღვიძა და აქეთ წამომიყვანა. თან გზადაგზა რაღაცას მიმტკიცებდა. მეგონა, ჩემი მოკვლა უნდამეთქი. მაგრამ რაღაც მკვლელს არ გავდა. ბოლოს თქვენამდეც მოვაღწიეთ და აი, გიხილეთ კიდეც. ეს იყო და ეს, სულ ესაა, რაც უთქვენოდ გადამხდა. ახლა, თუ რამ საჭმელი შემოგრჩათ, მაჭამეთ, თორემ ორი დღეა ვშიმშილობ.

გივიმ სწრაფად მოამზადა საუზმე. ის იყო საჭმელები იატაკზე დაალაგა, რომ შემოსასვლელში თეთრი იეტი შემოიმართა. შემოიმართა და თავისი ბრგე ბეჭებით ოთახი ჩააბნელა.

— ეს ყველაზე კარგია მათ შორის, მივცეთ საჭმელი, — დაიძახა ლევანმა და იეტს ნამცხვარი და მარილი მიაწოდა.

— ნამცხვრები და მარილი ერთად, კარგი საჭმელია მე და ჩემმა ღმერთმა! — სიცილით თქვა მერაბმა.

— შენ გეცინება და ისინი ორთავეს მშვენივრად მიირთმევენ, აი, კარგად ნახავ.

მართლაც იეტმა პირი ჯერ ნამცხვრებით გამოიტენა, მერე მარილიც შეაყოლა და ორივე სიამოვნებით გადაუძახა სტომაქში. დაუსტვინა და ხტუნვა-ხტუნვით გავიდა.

თითქმის მთელმა დღემ ისე გაიარა, რომ სახლთან, გარდა ყარაულებისა, არც ერთი იეტი არ გამოჩენილა. ყარაულებიც იქვე იწვნენ და პირღიად ეძინათ. როცა მოსაღამოვდა, აქაიქ შუქი გამოჩნდა. გაოცებული ტყვეები სარკმელს მიაწყდნენ.

— როგორ, მათ ცეცხლი აქვთ! — იძახდა მერაბი და ბინაში ბოლთას ცემდა.

— ჰო, ეს ჩირაღდნებია, ნამდვილი ჩირაღდნები. მაგრამ, საინტერესოა, სად მიიჩქარიან? — ჯურხა კეფას იფხანდა და სურდა იეტთა საიდუმლო ამოეხსნა. მალე იეტები ტბის ნაპირას შეიკრიბნენ. ამასობაში მთლად დაბნელდა და იეტებიც ტბაში შევიდნენ. კი არ მიცურავდნენ, არამედ ფეხდაფეხ მიდიოდნენ. თანაც ორ-ორად. ერთს, ჩვეულებრივ, ჩირაღდანი ეჭირა, მეორეს კი რაღაც გრძელი ჯოხის მაგვარი.

ლევანმა გულიანად გაიცინა.

— მივხვდი, მივხვდი. ისინი არც თუ ისე ბრიყვები არიან, თევზაობაც ცოდნიათ.

— ბრიყვები რომ იყვნენ, არ გაგვაცალკევებდნენ, ჩვენს ძმებთან ერთად შეგვყრიდნენ. ასე თუ ისე, ანგარიშს გვიწევენ, — ჩაილაპარაკა მერაბმა.

— თანაც, არც ისე უხეშები ჩანან. მე ის თეთრი დოყლაპია პირდაპირ შემიყვარდა, — წამოიძახა ლევანმა.

ყველამ გადაიხარხარა.

— ერთი თუ ხელი ჩაგავლო და გათრია, სიყვარული მაშინ ნახე. თავს სასაცივე ნიგოზივით დაგინაყავს, — აროხროხდა ჯურხა.

— რატომ უნდა დამინაყოს, მე მაგას მეგობრულად ვექცევი.

ტბაზე თევზაობა ისევ გრძელდებოდა. ტყვეები ხედავდნენ, თუ როგორ მარჯვედ იჭერდნენ ეს უხეში და ტლანქი არსებანი მოზრდილ თევზებს. იჭერდნენ და ასევე მარჯვედ ტყორცნიდნენ ნაპირისაკენ, სადაც პატარა იეტების ყიჟინა ისმოდა. ეს თევზაობა კარგა დიდხანს გაგრძელდა. მერე იეტები ისევ ნაპირზე გამოვიდნენ, თევზი სწრაფად გაინაწილეს და დაიშალნენ ჩირაღდნები ნელ-ნელა ჩაქრნენ. კრატერის ფსკერზე თანდათან დაბნელდა. ახლა შემოსასვლელში კვლავ გაისმა თეთრი იეტის სტვენა.

— ჰივი, ჰივი! ჯუხა, ჯუხა!

ორი ტყვე გაემართა თეთრი იეტისაკენ. იეტმა მათ ხელი მოჰკიდა. ჯურხამ ატომური ნათურა აანთო.

იეტმა გაბრაზებით დაუსტვინა და შუქი ჩააქრობინა. მერე ორივეს ხელი ჩაავლო და მთებისაკენ გაიყოლია.

— ჰიტო, საით, ჰიტო? — ჰკითხა ჯურხამ.

ამ ხმაზე ჰიტომ კვლავ გაბრაზებით დაუსტვინა. ჯურხა დადუმდა. უსიტყვოდ მიჰყვნენ გოლიათს.

იეტი ფრთხილად მიაბიჯებდა. იგი ხანდახან ჩერდებოდა, ირინდებოდა, ხელებზე ხელებს უჭერდა ტყვეებს. მერე ისევ გზას განაგრძობდა და სულ ზევით და ზევით მიიწევდნენ. ძალიან ბევრი იარეს. ტყვეები დაიღალნენ, თეთრი გოლიათი კი კვლავ მიდიოდა და მიდიოდა. მერე ის იყო ერთ დიდ შენობას მიადგნენ. იეტმა დაუსტვინა. საპასუხო სტვენაც იმ წამსვე გაისმა. წინ კიდევ ერთი უზარმაზარი არსება აღიმართა. ის დიდ ხვრელში შეძვრა და უკან თეთრი იეტი და ტყვეები მიჰყვნენ.

ხვრელში საშინლად ბნელოდა, მაგრამ იეტები სიბნელეში ისე მარჯვედ მიიკვლევდნენ გზას, — გეგონებოდათ, ყველაფერს დღესავით ხედავენო.

ჰიტომ რაღაც ტკბილად დაუსტვინა და ჯურხას ნათურიან ხელზე მოუჭირა. ჯურხამ ღილს ხელი დააჭირა და გაანათა. ახლა ისინი ნათლად ხედავდნენ ყოველივეს. მიიწევდნენ ღრმა და ფართო ტალანში. გზაზე ერთი იეტი გადაეღობათ. იგი ტალახში იწვა და ხოხვით მიიწევდა წინ. სახე საოცრად დამანჭოდა. ტანზე სულ ერთთავად მუწუკები მოდებოდა. იგი მეტად შემაზრზენი და საცოდავი იყო.

ჰიტომ თავისებურად დაუსტვინა. იმ უბედურმა სტვენით უპასუხა და თავი ტალახში ჩარგო. ჰიტო ახლა ტყვეებს მიუბრუნდა, სტვენით რაღაც უთხრა, მაგრამ ვერაფერი გააგებინა, და ისევ გაჰყვნენ გზას.

ერთბაშად მარჯვნივ აუხვიეს, მერე დარბაზში შევიდნენ და ჯურხამ სიხარულისაგან შეჰყვირა. დარბაზში ორივე დაკარგული ექსპედიციის წევრები ისხდნენ და რაღაცაზე დავობდნენ. ისინი წამოიშალნენ. კუკური სანდუხაძემ ორივე ხელი გაშალა, ჯურხას ჩაეკრა.

— უცნაური შეხვედრაა, უცნაური, ჩემო მეგობარო, ხედავთ, თურმე საიქიოშიც კი ხვდებიან ადამიანები ერთმანეთს. აი, ჩვენ ისევ ერთად ვართ. ღმერთმა ხელი მოგვიმართოს და მხოლოდ ანთებული მუგუზლები გვაკლია, დანარჩენი ბედნიერება ყველაფერი გვაქვს.

სანდუხაძე ახლა ჰიტოს მიუბრუნდა, სტვენით რაღაც უთხრა. ჰიტომაც სტვენით უპასუხა. გივიმ გაიოცა.

— როგორ, თქვენ უკვე ლაპარაკობთ იეტების ენაზე?

სანდუხაძემ ჩაიცინა.

— სტუდენტობისას მე ჩემი პროფესორი გავაოცე, როცა ხეთურად წავიკითხე ჰამურაბის კანონი. ახლა თქვენ მე იმ ჩემს ცხონებულ პროფესორს მაგონებთ. ღმერთმა გიშველოთ და, ცოტაოდენი მათებური შევისწავლე. გასაუბრებას ვახერხებ. სხვათაშორის, ეს იეტი მათგან ყველაზე ჭკვიანია. იცის ადამიანის ფასი და გვეხმარება. სწორედ ამიტომაა. რომ ჩვენ აქ, საიქიოს გზაზე, ასე არხეინად ვგრძნობთ თავს. სხვა შემთხვევაში შეიძლება ეს იეტური ხუმრობა ადამიანთა დაღუპვით დამთავრებულიყო.

— უფრო გარკვევით თქვით, გეთაყვა, — თხოვა ჯურხამ.

— მე იმის თქმა მსურს, რომ ჩვენ საიქიოს გზაზე ვართ. ჩემკენ მობრძანდით, — სანდუხაძე, წინ წავიდა. იქ, დარბაზის ჩრდილოეთ მხარეს, ღიად დარჩენილ დიდ ხვრელთან დადგა. როცა ჯურხა მასთან მივიდა, საშინელი მყრალი სუნი ეცა.

— ჯერ ადრეა, გადაიხედეთ ქვევით, — სანდუხაძემ ხვრელში ნათურიანი ხელი შეყო. ჯურხამ გადაიხედა.

იქ, ქვევით, ღრმა უფსკრული ჩანდა. უფსკრულში იეტთა



წინ იეტები მიდიოდნენ. ისინი დინჯად მიაბიჯებდნენ

უთვალავი ჩონჩხი ეყარა. აქა-იქ თითო-ოროლა იეტიც ეგდო. ისინი სანახევროდ უკვე გახრწნილიყვნენ.

—ეს იეტთა სასაფლაოა. ამ ხვრელში შემოსვლის უფლება მხოლოდ მომაკვდავ იეტს აქვს. ისინიც, იგრძნობენ რა სიკვდილის მოახლოებას, აქეთ მოდიან, წვებიან ამ უფსკრულში და მოთმინებით ელიან თავიანთ აღსასრულს. თუ ჯანმრთელი იეტი აქ შემოვიდა, იგი აუცილებლად უნდა მოკვდეს. ასეთია იეტთა მოდგმის მკაცრი კანონი. ნუ გაიკვირვებთ, რომ ჰიტომ და მისმა შვილმა დაარღვიეს ეს კანონი. მათ საკმაო განათლება მიიღეს ჩვენგან.

— პირდაპირ საოცარია, — ამბობდა გაკვირვებული ჯურხა და სიგარეტს მალიმალ ეწეოდა.

— საოცარია, როგორ ძლებენ ამ უფსკრულში ეს საცოდავი გოლიათები. რატომ აქამდე მთლად არ ამოწყდნენ.

— არც აგრეა. დაჯექით,— თქვა სანდუხაძემ და ქვებზე ანიშნა სტუმრებს. — ეს ცოდვის შვილები უკვე შეეგუენ მკაცრ ცხოვრებას. ჭამენ თევზს და კლდეზე დაკიდებულ წითელ ფესვებს. მე მინახავს იეტები, რომლებიც აგრეთვე მშვენივრად მიირთმევენ უფსკრულის ჯოჯოს. მას ჯერ ნაწლავები გამოაყრევინეს, მერე ისე შეახრამუნეს, რომ ჯოჯოს კუდი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ტუჩებთან ფართხალებდა.

ისინი გარეგნულად ჩანან ზარმაცები, თორემ ისე შრომაც უყვართ. აქედან ბილიკ-ბილიკ ადიან კრატერის წვერზე, შემდეგ დაუყვებიან თოვლიან მწვერვალებს. სწორედ აქედან გავრცელდა ლეგენდა თოვლის ადამიანებზე.

ახლა მთავარი ისაა, რომ იეტებმა შეიტყვეს ჩვენი სამალავი. ჩვენ ამ ერთი კვირის წინ გამოგვაპარა ჰიტომ და აქ დაგვმალა. ერთი კვირა უშიშრად გავატარეთ, მაგრამ ახლა ჰიტომ გვითხრა, იეტებს გაუგიათ ჩვენი სამალავი. ისინი აღაშფოთა თურმე იმან, რომ ჩვენ მათ სასაფლაოსთან ვიმყოფებით. აპირებენ რამდენიმე იეტი შემოგზავნონ და ბოლო მოგვიღონ.

სანდუხაძე ახლა ჰიტოს მიუბრუნდა, რაღაც ისაუბრეს. ჰიტო იმ წამსვე გაბრუნდა.

— იგი ახლა სხვებსაც მოიყვანს, ყველანი შევიკრიბებით და შემდეგ საიდუმლო გზით გავუყვებით უფსკრულს. ჩვენ ამდენ ხანსაც შეგვეძლო დაგვეწყო ეს მოგზაურობა, მაგრამ სურსათის მარაგი არ გვქონდა. ახლა კი ჰიტოს მეშვეობით ცოტაოდენი თევზი მოვიმარაგეთ, — თქვა სანდუხაძემ.

ჰიტო გვიან კვლავ დაბრუნდა. მან ახლა ლევანი, ნოდარი და მერაბი მოიყვანა. საამო სტვენით შემოვიდა დარბაზში, მის მიერ მოყვანილ გაოცებულ სტუმრებს გზა დაუთმო.

— ამას რას ვხედავ, სად მოვედით! — ყვიროდა გივი და სათითაოდ ეხვევოდა ყველას. ნოდარს პირდაპირ ვეღარ იცნობდით. სიხარულისაგან ნამდვილად გიჟს დაემგვანა. ხან იეტებს აჯავრებდა, დაბაჯბაჯებდა და სტვენდა, ხანაც ხარხარებდა.

სანდუხაძის ხმამ ყველანი დაამშვიდა.

— ესეც ასე. ჩვენი კომედიის პირველი მოქმედება დამთავრდა. ახლა გავუდგეთ გზას. დრო ცოტა გვრჩება, — კუკური ჰიტოს მიუბრუნდა და სტვენით რაღაც უთხრა. ჰიტოც სტვენით შეეხმიანა. ახლა ჰიტოს გვერდით მისი შვილიც გამოჩნდა და ჯგუფი დაიძრა. წინ იეტები მიდიოდნენ. ისინი ნელა და დინჯად მიაბიჯებდნენ. უკან ჯურხა მისდევდათ. ჯურხა გზას უნათებდა იეტებს. დრო და დრო სტვენით ეხმიანებოდა, ვითომცდა რაიმეს ჰაგებინებო მათ. იეტებიც ხალისით რაღაცას ეუბნებოდნენ. ჯურხა იცინოდა და ამტკიცებდა: იეტური ვისწავლეო. ისე იარეს ორი დღე, რომ არც ერთი დიდი დარბაზი არ შეხვედრიათ. მხოლოდ ერთგან შეხვდათ მთლიანად ყინულოვანი ველი. ყინული სარკესავით ლაპლაპებდა. იეტები აქ შეჩერდნენ, სანდუხაძეს დაელოდნენ, როცა ის გამოჩნდა, ჰიტო მასთან მივიდა და დიდხანს რაღაცას ელაპარაკებოდა.

— ჰიტო ამბობს, აწი თქვენც იოლად გააგნებთ გზასო. აქედან ერთი დღის სავალიღა თუ იქნება გასასვლელამდეო. თვითონ დაბრუნება სურს. ეშინია, იეტებმა არ გაუგონ, რომ მან გვიშველა. მაშინ მთელს მის ოჯახს გაწყვეტენ.

— წავიდეს, — თქვა მერაბმა, — მადლობის მეტი რა გვეთქმის.

— ისე, კარგი კი იყო, გაგვეთოკა ესა და მისი შვილი და შემდეგ ადამიანთა სამყაროსათვის გაგვეცნო ისინი, — გაიცინა გივიმ.

ჯურხამ წარბშეკვრით შეხედა.

— სიკეთისათვის ასე არ უხდიან სამაგიეროს!

გივის შერცხვა.

— არა, ვიხუმრე, ღმერთმა დამიფაროს ასეთი საქმისაგან! სანდუხაძე ისევ ჰიტოს მიუბრუნდა.

ისინი დიდხანს საუბრობდნენ. ამასობაში ლევანმა და მერაბმა მისთვის უკვე შეამზადეს საჩუქრები. ეს იყო ნამცხვრებითა და მარილით სავსე ზურგჩანთა.

— აბა, ჯურხა, შენი იეტურით ეს საჩუქარი საზეიმოდ გადაეცი მაგათ, — უთხრა მერაბმა ჯურხას ხუმრობით.

ჯურხამ იხტიბარი არ გაიტეხა, ჩანთა მართლაც ჩამოართვა და ჰიტოს მიაწოდა, თანაც რაღაც აბდაუბდას სტვენდა. იეტი გულკეთილად იცინოდა, დიდრონ ყვითელ ღოჯებს აჩენდა. ჩანთა ჩამოართვა და ზურგზე მოიგდო. მერე შვილს ხელი გადახვია და ორივენი ძუნძულით დაეშვნენ. დიდხანს მოჩანდნენ ისინი ყინულოვან ველზე, შემდეგ თვალს მიეფარნენ.

— ბევრი ვეხვეწე, მინდოდა თან წამომეყვანა, მაგრამ არ ქნა, — სინანულით თქვა სანდუხაძემ.

სპელეოლოგები კვლავ დაიძრნენ. წინ ჯურხა მიაბიჯებდა. მიდიოდნენ ჩუმად, უხმაუროდ, დიდხანს იარეს. ბოლოს ტალანი ქვევით დაეშვა და ზედ მიადგნენ დიდ ტბას. მერაბმა ხალისით მოიძრო თხელი ჩაჩი, კომბინეზონის საკინძე გაიხსნა, ღრმად შეისუნთქა გარედან შემოსული თბილი ჰაერი და ხმამაღლა დაიძახა:

— ჩვენ მოვედით, მეგობრებო.

ვიღაცამ ჩაჩი ზევით ააგდო. ვიღაცამ სიხარულით შეჰყვირა. ტბას იქით ჩანდნენ დარბაზში შემოსული ადამიანები და ისინიც სიხარულით რაღაცას უყვიროდნენ უკან დაბრუნებულთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## აი, რა ითქვა

### ნორჩ ფენოლოგთა პირველ რესპუბლიკურ კონფერენციაზე

ბუნების ყოველი მოვლენა – ამინდის ცვალებადობა იქნება ეს თუ მცენარის აკვირტება-დაყვავილება, თბილ ქვეყნებიდან ფრინველთა დაბრუნება თუ მდინარეების ადიდება — გარკვეულ კანონებს ემორჩილება. ბუნების მოვლენები დიდ ინტერესს იწვევდა ძველთაგანვე, სურვილს აღუძრავდა ადამიანს, ჩაწვდომოდა მათს საიდუმლოებებს და თავის სასარგებლოდ გამოეყენებია ისინი.



ბევრმა, შესაძლებელია, არც იცოდეს, რომ სასწაულმოქმედი კანონების დასაუფლებლად შექმნილია სპეციალური მეცნიერება — ფენოლოგია, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისათვის და, რომლის გარეშეც ადამიანს გაუჭირდებოდა ბუნების დამორჩილება და თავის სამსახურში ჩაყენება.

უკვე მესამე წელია, რაც, გამოცდილ სპეციალისტთა კვალდაკვალ, მეცნიერების ამ დარგში საინტერესო კვლევით მუშაობას ეწევიან ჩვენი რესპუბლიკის 62 სხვადასხვა რაიონის პიონერ-მოსწავლეები. ამ შესანიშნავი წამოწყების ინიციატორი და ბავშვთა შორის გაშლილი მუშაობის ცენტრია — საქართველოს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა, საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებასთან ერთად, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ჩაატარა ნორჩ ფენოლოგ ტურისტთა პირველი რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციის გახსნამდე, დარბაზში თავმოყრილმა მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, მეცნიერებმა და სხვა სტუმრებმა დაათვალიერეს გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ნორჩ ფენოლოგთა უამრავი ნამუშევარი: საქართველოს მთისა და ბარის ამინდის კალენდარი, მცენარეთა ყვავილობის ცხრილები, ფიტოფენოლოგიური ცხრილები, რომლებიც ასახავენ მცენარეთა აყვავილების ფაზებს — ყვავილის გამოღებას, ყვავილთცვენასა და დაყვავილებას. წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, ჰერბარიუმები, რუკები, სქემები, ჩანახატები.

კონფერენცია გახსნა ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკურ სადგურთან არსებული მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარემ მოსწავლე დავით კუჭაიძემ.

სადგურის დირექტორმა მზია ერისთავმა კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრო იმ მუშაობაზე, რომელიც სამი წლის მანძილზე ჩაატარეს ჩვენი რესპუბლიკის ნორჩმა ფენოლოგებმა, აგრეთვე, იმაზე, თუ რა

მზია ერისთავი კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრობს ნორჩ ფენოლოგთა საქმიანობაზე.

კონფერენციის პრეზიდიუმში. მარჯვნიდან მარცხნივ: აკადემიკოსი ალ. ჯავახიშვილი, მოსწავლე დავით კუპაიძე პროფესორი უშ. ობოლაძე.

დიდი წვლილი გაიღეს ამ საქმის სწორად წარმართვაში აკადემიკოსებმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა და ნიკო კეცხოველმა.

ნორჩ ფენოლოგთა მიერ გაწეული მუშაობის დიდ მნიშვნელობასა და მომავალ პერსპექტივებზე ილაპარაკა განათლების მინისტრის მოადგილემ, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა უშანგი ობოლაძემ.

ნორჩ ფენოლოგებს მიესალმნენ კონფერენციაზე დამსწრე მეცნიერები. აი, რა თქვა, მხცოვანმა



ყურადღებით უსმენენ კონფერენციის დელეგატებს აკადემიკოსი ნ. კეცხოველი და ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ჯ. კვარაცხელია.

მეცნიერმა, გეოგრაფიის მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა:

— საქართველოს ბუნება თავისი მთიანი რელიეფით მრავალფეროვანია. ჩვენ მთლიანად უნდა დავეპატრონოთ ჩვენს ბუნებას და გარდავქმნათ იგი ჩვენს სასარგებლოდ. ჩვენი მეცნიერ-მკვლევარები სწორედ ამ საქმეს ემსახურებიან. მაგრამ ამ საქმისათვის მარტო ისინი არ არიან საკმარისნი. საჭიროა ფენოლოგების მთელი არმია. სწორედ ამიტომ, ჩვენი ნორჩი ფენოლოგების ასეთი თავგამოდება ბუნების მოვლენათა შესწავლის საქმეში, მისასალმებელია. თუ ჩვენი პატარა მკვლევარები თავიანთ მუშაობას მომავალშიც ასეთი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით განაგრძობენ, ეჭვი არაა, რომ მათი სახით უახლოეს ხანში ჩვენს მეცნიერებას საიმედო ცვლა მოევლინებათ.

— ჯერჯერობით ნორჩ ფენოლოგებს, ალბათ, წარმოდგენაც კი არა აქვთ იმაზე, თუ რა დიდ სარგებლობას მოუტანს მათ მიერ ბუნების მოვლენებზე დაკვირვების შედეგად დაგროვილი ეს მდიდარი მასალები მეცნიერ-მკვლევარებს თუნდაც 100 წლის შემდეგ ბუნების გარდაქმნის დიად საქმეში. მაგრამ, ცხადია, რომ ეს ასე იქნება,— თქვა აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა და ნორჩ ფენოლოგებს ახალი წარმატებები უსურვა.

უნივერსიტეტის ლექტორმა, დოცენტმა არჩილ ჯანაშვილმა, გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა, შოთა ჯავახიშვილმა და გარსევან კურდღელაიძემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებმა ბორის გავრილენკომ და გია ნახუცრიშვილმა, დამსახურებულმა მასწავლებელმა მავრა გეგეჭკორმა მრავალი რჩევადარიგება მისცეს ნორჩ მკვლევარებს.

კონფერენციის მონაწილეებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს სახელით მიესალმა საბჭოს თავმჯდომარე ჯუანშერ კვარაცხელია.

ფენოლოგიურ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს განათლების სამინისტრომ და ბავშვთა ცენტრალურმა საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა კონფერენციის მონაწილე 17 სკოლის საექსპედიციო რაზმი სიგელებით და 9 რაზმი ტურისტული ინვენტარით დააჯილდოვა, ხოლო კონფერენციაზე საჯაროდ გამოსულ ყველა მოსწავლეს ფოტოაპარატები უსახსოვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვამბობთ ასე...

## ბევრმა წყალმა ჩაიარა

„მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა", ამბობენ ჩვენში, როდესაც შორეულ წარსულს იგონებენ.

რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან წყალსა და დროს?

უძველეს ხანაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დროის საზომი ხელსაწყო წყლის საათი იყო. საბერძნეთში ასეთ საათებს ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე ორი ათასი წლის წინათ ხმარობდნენ. საათი მარტივი იყო: ჭურჭელი ნელ-ნელა ივსებოდა და წყლის დონით საზღვრავდნენ დროს.

საბერძნეთში, სასამართლო პროცესის დროს, როგორც ბრალდებულს, ისე ბრალმდებელს სალაპარაკოდ თანაბარი დრო ჰქონდათ დათმობილი. ვიდრე ლაპარაკს დაიწყებდნენ, ჭურჭელში წყლის დონეს გაათანაბრებდნენ. ორატორები მხოლოდ მანამდე ლაპარაკობდნენ, სანამ წყალი გარკვეულ დონეს მიაღწევდა. თუ სასამართლოს მსვლელობის დროს საჭირო იყო რაიმე საბუთის წაკითხვა ან მოწმეების დაკითხვა, წყლის დინებას შეაჩერებდნენ.

ჩვენში ასეთი საათები არ ყოფილა. ხატოვანი გამოთქმა—„ბევრმა წყალმა ჩაიარა" — უცხოეთიდან არის შემოხული.

## ხალტურა

ეს სიტყვა ზოგიერთს შეიძლება ახალი ეგონოს. არა, იგი ძველი სიტყვაა, მაგრამ ძველად მას მხოლოდ საეკლესიო ენაში ხმარობდნენ. ყოველ სასულიერო პირს თავისი მრევლი ჰყავდა. ზოგჯერ, მდიდარი ხალხი ცდილობდა ქორწილი ან დასაფლავება რაც შეიძლება მდიდრულად გადაეხადა. ამიტომ სხვა სასულიერო პირებსაც იწვევდნენ და ზედმეტ გასამრჯელოს აძლევდნენ. აი, ასეთი არაპირდაპირი გზით მიღებულ გასამრჯელოს უწოდებდნენ ხალტურას.

მაგრამ რას ნიშნავს ეს სიტყვა?

სასულიერო მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა ძველად ბერძნები იყვნენ. ამის გამო სასულიერო ტერმინოლოგიაში ბევრი ბერძნული სიტყვა დარჩა. სიტყვა ხალტურაც ბერძნული წარმოშობისაა და „ხალკოსს"— ჩვენებურად თაფლს ნიშნავს.

ეს სიტყვა ამჟამად არა მარტო უკანონო გზით რაიმეს შეძენას, არამედ საქმის ცუდად, უხეიროდ გაკეთებასაც ნიშნავს.




## კვების ჰიგიენა

სწორი კვება ჯანმრთელობის საწინდარია. იგი ხელს უწყობს ადამიანის შრომისუნარიანობის ზრდასა და სიცოცხლის გახანგრძლივებას.

ადამიანი დიდძალ ენერგიას ხარჯავს. ეს ენერგია საჭმლის მომნელებელი თუ სასუნთქი ორგანოების, გულისა თუ ტვინის აპარატის მუშაობას ხმარდება.

საკვები დახარჯული ენერგიის შევსება-აღდგენის მუდმივ წყაროს წარმოადგენს. მაგრამ მისი როლი მარტო ამით როდი განისაზღვრება! მოზარდი ორგანიზმი არა მარტო გალებული ენერგიის აღდგენას საჭიროებს, არამედ, სხეულში ნივთიერებათა დაგროვებასაც. ამგვარად: საკვები ერთი მხრივ საჭიროა, როგორც საშენი მასალა, მეორე მხრივ კი — როგორც ენერგიის წყარო. ამიტომ თქვენი კვება, ბავშვებო, სრულყოფილი უნდა იყოს, ესე იგი საკმარისი რაოდენობისა და ამავე დროს მრავალფეროვანი საჭმელი უნდა მიიღოთ: რძე და მისი ნაწარმი, ასევე ხორცეული, თევზეული, ნაირ-ნაირი ბურღული, ბოსტნეული და ხილი. ეს პროდუქტები მოიცავენ: ცილებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, ცხიმს, მარილებისა და წყლის აუცილებელ რაოდენობას.



იმისათვის, რომ თქვენმა ორგანიზმმა უკეთ შეირგოს საკვები, აუცილებლად უნდა დაიცვათ კვების რეჟიმი, დროის ზუსტი დაცვით მიიღოთ საკვები.

შედარებით რაციონალურია დღეში ოთხჯერადი კვება, ასე მაგალითად:

I საუზმე 8 საათზე — კვების ნორმის 25%.

II საუზმე 13 საათზე — კვების ნორმის 15%.

სადილი 17 საათზე — კვების ნორმის 40%.

ვახშამი 20 საათზე — კვების ნორმის 20%.

ვახშმად მსუბუქი საჭმლის მიღება აჯობებს, ისიც დაძინებამდე 1—2 საათით ადრე.

გემრიელი, სრულყოფილი, საღი და მადისმომგვრელი საჭმლის დასამზადებლად საკმარისი არაა კარგი პროდუქტი გქონდეს, საჭიროა, მისი დამზადებაც იცოდე.

საჭმლის დამზადების ტექნოლოგიაში არსებობს ზოგადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს საჭმლის ხარისხს.

ცუდი ხარისხისა და ძველი პროდუქტებისაგან დამზადებულ საჭმელს კუჭ-ნაწლავის დაავადება შეუძლია გამოიწვიოს. ასეთი დაავადება მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, თუ საკვები გიგიენური მეთვალყურეობის გარეშე მზადდება, რადგან მასში სწრაფად ვრცელდებიან მიკროორგანიზმები.

როგორ ხვდებიან საჭმელში მიკრობები?

ტუბერკულოზით, ბრუცელოზით, ან სხვა ინფექციით დაავადებული არიან არა მარტო ადამიანები, არამედ ცხოველებიც. ამიტომ ამ სენით შეპყრობილი ცხოველის რძეს, რძის პროდუქტებს ან თვით ხორცს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის მოტანა შეუძლიათ. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად რძე კარგად აადუღე ყოველთვის, რადგან დიდი ტემპერატურა ბაქტერიებს ხოცავს. ხორცი კი მხოლოდ საკოლმეურნეო ბაზარზე და მაღაზიაში შეიძინე, სადაც საფუძვლიანი სანიტარული შემოწმება ხდება.

გადამდები დაავადებების გავრცელებას ხელს უწყობენ თაგვები, ბუზები და ტარაკანები. ამიტომ მათ მოსასპობად უფროსებთან ერთად შენც უნდა იზრუნო აუცილებლად.



## საჭმლის დამზადების ჰიგიენა და მისი შენახვა

საჭმლის დამზადების წინ, პირველ რიგში, ხელები დაიბანე, სუფთა ტანსაცმელი ჩაიცვი და სუფთავე წინსაფარი გაიკეთე, თავზე კი ხილაბანდი მოიხვიე.

განსაკუთრებული სიფრთხილით დაამზადე ხორცისა და თევზის კერძები.

ხორცი ჯერ კარგად გარეცხე, შემდეგ კარგად მოხარშე ან შეწვი, სითბური დამუშავების დროს მასში უსათუოდ მოისპობიან მიკრობები.

დაკეპილი ხორცი ან მისგან დამზადებული კატლეტი უმად არ შეინახო, რადგან მათში ერთბაშად ჩნდებიან მიკრობები. აჯობებს მაშინვე შეწვა.

თევზი ჯერ კარგად გარეცხე, ქერცლისაგან გაასუფთავე, შემდეგ სპეციალურ ფიცარზე დაამუშავე — გამოშიგნე, დაჭერი და სხვ. ნედლი თევზის შენახვა დიდხანს არ შეიძლება, ისიც შეუწვავად თუ მოუხარშავად სწრაფად ფუჭდება.

მწვანილი, ბოსტნეული, ხილი, კენკროვანი მცენარის ნაყოფი საჭმელში ხმარების წინ კარგად გარეცხე, რომელიც გათლას საჭიროებდეს გარეცხვის შემდეგ გათალე.

ხორცი, თევზი, კარტოფილი და ბოსტნეული, უმი იქნება ის თუ მოხარშული, სხვადასხვა ფიცარზე დაამუშავე. თუ რამდენიმე ფიცარი არ გაქვს, მაშინ ნახმარი კარგად დამდუღრე და მეორე პროდუქტის დასამუშავებლად ისე იხმარე.

პამიდვრისა თუ მწვანე სალათი, ასევე ბოსტნეულის სალათი მხოლოდ ჭამის წინ დაამზადე, რადგან ძალიან მალე ფუჭდება.

საჭმელი თბილ სამზარეულოში არ შეინახო. პურჭელს თავსახური მჭიდროდ დაახურე და გრილ ადგილას მოათავსე.

პირველი კერძი ჭამის წინ უსათუოდ წამოადუღე, მეორე კი ნელ ცეცხლზე შეათბე.

### სისუფთავის დაცვა სამზარეულოში

სამზარეულოში უნდა დაიდგას მაგიდა და სპეციალური კარადა პროდუქტების, ჭურჭლის, სამზარეულო მოწყობილობისა თუ თეთრეულის მოსათავსებლად.

მაგიდას ლინოლიუმი ან მუშამბა უნდა გადაეკრას. დროისა თუ წონის სიზუსტის დასაცავად საათი და სასწორი სამზარეულოს განუშორებელ ინვენტარს უნდა შეადგენდეს. ერთ კუთხეს თავსახურიანი ნაგვის ყუთი უნდა იჭერდეს.

თუ სამზარეულოში ჰიგიენა-სანიტარიის მოთხოვნები დაარღვიე, საუკეთესო პროდუქტსაც კი მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია ადამიანისათვის.

სამზარეულო ყოველდღიურად უნდა დალაგდეს, თვეში ერთხელ კი უფრო საფუძვლიანად დასუფთავდეს.



პირველ რიგში წესრიგის დაცვაზე იზრუნე.

ხმარების შემდეგ ინვენტარი მისთვის განკუთვნილ ადგილზე დააბრუნე. პროდუქტებს იმ ადგილთან ახლოს მოუყარე თავი, სადაც საჭმლის დამუშავება ხდება. პროდუქტების ყოველდღიური მარაგი სპეციალურ ჭურჭელში მოათავსე.

ყოველდღიურად, საჭმლის მომზადების შემდეგ, მაგიდა ცხელი წყლითა და სოდით გარეცხე. იატაკი მოასუფთავე. თვეში ერთხელ კი, შენთვის უკვე ცნობილი წესით, კარგად გაწმინდე ღუმელი, ქურა, კედლები, კარ-ფანჯარა, მორეცხე იატაკი და სხვ.

ჭურჭელი განსაკუთრებულ მოვლას მოითხოვს. ამის გარეშე იგი ინფექციური დაავადების წყარო შეიძლება გახდეს. ეს იმიტომ, რომ საჭმლის ნარჩენები მალე იხრწნება და მასზე მიკრობები მრავლდება.

### ჭურჭლის გარეცხვის წესი

ჭურჭლის გარეცხვისას ცხელი წყალი, საპონი, საჭმლის თუ სარეცხის სოდა და მდოგვი არ დაიშურო.

გარეცხვამდე ჭურჭელი საჭმლის ნარჩენებისა და ცხიმისაგან ქაღალდით გაასუფთავე, შემდეგ მოზრდილ სუფთა თასში ცხელი წყალი ჩაასხი, შიგ 1 სუფრის კოვზი მშრალი მდოგვი ჩაყარე და ჭუჭყიანი ჭურჭელი სპეციალური ჯაგრისით, ან ძველი კაპრონის წინდით გარეცხე. საჭიროების შემთხვევაში წყალი დროდადრო გამოცვალე. ამის მერე ცხიმიანი თასი ცხელი წყლით მორეცხე და გარეცხილი ჭურჭელი ცხელ წყალში გაავლე.

მდოგვის ნაცვლად სარეცხის სოდა და საპონიც შეგიძლია გამოიყენო. (1 ლიტრ წყალზე 25 გრ. სოდა).

გარეცხილი ჭურჭელი ან საშრობ დანადგარზე მოათავსე, ან სუფთა ტილოთი გაამშრალე.

ბავშვის ჭურჭელი იმავე წესით, ოღონდ ცალკე გარეცხე, საშრობ დანადგარზე დააწყვე და ზევიდან მარლის სუფთა ნაჭერი გადააფარე. ხმარების წინ ბავშვის ჭურჭელი უსათუოდ დამდუღრე.

სარძევე ჭურჭელი ცალკე გარეცხე.

დანა-ჩანგალი აგურის ფხვნილით, გაცრილი ნაცრით, ან სპეციალურად შეძენილი „ნედის“ ფხვნილით გაწმინდე. სახეხად ბოთლის საცობი გამოიყენე.

ჭურჭლის გარეცხვისას მხედველობაში მიიღე, თუ რა მასალისგანაა იგი დამზადებული და ჩვენი რჩევების გათვალისწინებით გარეცხე ან გაწმინდე.

ც. ელიგულაშვილი,
ლ. პაიჭაძე.

ნახ. ედ. ამბოკაძისა



8708

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოტო ვისნერი
გერმანელი მწერალი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

# ალიოშას გიტარა

ეს ამბავი საქსონიის საკონცენტრაციო ბანაკში მოხდა. ალიოშა, მრავალ საბჭოთა ბავშვთან ერთად, ამ ბანაკში ტყვედ იმყოფებოდა. თითქმის ყველა ტყვე ბავშვს საკუთარი შეფი ჰყავდა. მე ალიოშას ვუწევდი შეფობას. ჩვენს მოვალეობას მათი მდგომარეობის შემსუბუქება და სიცოცხლის შენარჩუნება შეადგენდა. ეს შემთხვევა, რომელსაც მე ქვემოთ გიამბობთ, ჩემს ზონაში მოხდა. უფრო გვიან, მე და სხვა მრავალი კომუნისტი, ამ ბავშვებისა და სხვა ტყვეებისადმი სოლიდარობისათვის დაგვაპატიმრეს. შემდეგ რა მოუვიდა ალიოშას, აღარ ვიცი.

. . .

ბანაკის სივიწროვემ გარეთ გამოდევნა კარლ სივერინგი და ცამეტი წლის ალიოშა. ჩუმად, სევდიანი ფიქრებით მოცულნი მიჰყვებოდნენ ისინი საკონცენტრაციო ბანაკის ქუჩას.

კარლი ალიოშას მთრთოლვარე ხმამ გამოარკვია: „კარლ, გესმის? ჩემი ქვეყნის სიმღერა!“ პატარას სახე ანთებოდა. ისინი შეჩერდნენ და ყური დაუგდეს. ჰაერში მომჯადოებლად იფანტებოდა აკორდები და რუსული ხალხური მუსიკის ნაზი მელოდია. კარლს მზერა საგუშაგო კოშკისაკენ გაექცა, რომლის მახლობლად ტაატით ირხეოდა მარტოდმარტო მდგარი ნაძვი, თითქოს ამ უჩვეულო ჰანგებს თავისი ტანის მოძრაობა უნდა შეუწყოსო.

ალიოშამ თავი დახარა. ხელი, რომლითაც მაგრად ჩაბღუჯვოდა თავისი მეგობრის ზოლებიან ხალათს, ჩამოუვარდა და აქვითინდა. აცახცახდა მისი პატარა, გამხდარი სხეული.

„დედიკო, ჩემო დედიკო!“ — ბუტბუტებდა იგი. კვნესოდა პატარა გული, დედასა და სამშობლოს მონატრებული. „ნუ სტირი, ჩემო ბიჭო“, — ეუბნებოდა თანაგრძნობით ახალგაზრდა გერმანელი მეგობარი და ბიჭს თავზე ხელს უსვამდა. ცრემლებით დანამული სახე ასწია ალიოშამ. პირდაპირ ჩანდა საგუშაგო კოშკი და კოშკზე გუშაგი — ბანაკისაკენ მოშვერილი ავტომატით ხელში.

ისევ დაირხა რუსული მელოდიის ხმები. „ნეტავი აქ მქონდეს ჩემი გიტარა“, — ამოიოხრა ალიოშამ. ცოტა ხნის შემდეგ სიმღერა შეწყდა და უკანასკნელი აკორდიც მიჩუმდა. ალიოშა და კარლი თავიანთ ბანაკში დაბრუნდნენ.

ამ დღის შემდეგ ისინი ხშირი სტუმრები იყვნენ ბანაკის სადურგლო სახელოსნოსი. ტყვე დურგალი მათ გიტარის გაკეთებას დაჰპირდა.

ერთ თვეში გიტარა მზად იყო. კარლმა იგი ალიოშას ლოგინში შეაცოცა და იმ დარბაზისაკენ გაემართა, სადაც ტყვეები სადილობდნენ ხოლმე..

ალიოშა თავის მაგიდას უჯდა. კარლი შუბლშეჭმუხნული მიუახლოვდა მას და უთხრა:

— ალიოშა! შენი საწოლი გაუსწორებელია!

ალიოშა მყისვე წამოხტა. მან იცოდა, რა საშინელება იყო, როდესაც საწოლი გაუსწორებელი რჩებოდა. მაგიდაზე დააგდო უკვე პირთან მიტანილი პურის ნატეხი და გაიქცა. კარლმა ღიმილით გააყოლა თვალი, დაფიქრით გაჰყვა მის გზას:

„აი, ის ახლა საწოლის წინ დადგება და გაკვირვებით იტყვის: „საოცარია“. შემდეგ, ნახევრად ბნელ ოთახში, მიუახლოვდება საწოლს და ხელს წაატანს გიტარის ტარს. უცბად პატარა ხელით გადასწევს გადასაფარებელს და...“

სიხარულის, გაოცების შეძახილმა და გიტარის პირველმა მკვეთრმა აკორდებმა შესწყვიტა კარლ სივერინგის ფიქრი. იგი კარებს მიუახლოვდა და ჩუმად დაუგდო ყური. ტალღასავით მოედინებოდა გიტარის საამო ხმები. კარლს არ ახსოვს, რამდენხანს გაგრძელდა ასე. უეცრად, ხმამაღალი ყვირილი შემოსმა: „ყურადღება!“. ბარაკში, ტყვეები წამოხტნენ და კარებს მიაცქერდნენ. ოთახის ბოლოში მაგიდასთან სკამი აჭრიალდა. „ზედამხედველი!“ — ჩაიდუდუნა კარლ სივერინგმა, საძინებელი დარბაზის კარი გააღო და ჩუმად, ვედრებით დაიძახა: „ალიოშა, ალიოშა!“. ბავშვს არაფერი ესმოდა. თრთოლვით მოძრაობდა მისი პატარა თითები გიტარის სიმებზე და ახალ ბგერებს გამოსცემდა. დავიწყებოდა პატარას, სად იმყოფებოდა.

ზედამხედველი ბარაკს მიუახლოვდა. გაafთრებით მოავლო მან თვალი ირგვლივ და დაიღრიალა: „ეს რა ამბავია?!“ შემდეგ დეზების ხმაურით შევიდა ოთახში და ლანძღვა-გინებით გაჩერდა კარების წინ. ღია კარებში აჩრდილივით ასვეტილიყო შიშისაგან გაქვავებული კარლი. ზედამხედველი ზიზღით შესცქეროდა ალიოშას.

ალიოშა კარების გაღებამ გამოაფხიზლა, თავი ასწია და დაინახა ესესელი ოფიცერი. „აქ მოდი ახლავე, მატლო! — დაიღრიალა მან, — „წამოიღე ეგ ყუთიც!“.

ალიოშას თვალები გაფართოებოდა. უნდოდა გიტარა საწოლზე დაედო, მაგრამ კვლავ მოესმა ზედამხედველის მრისხანე ხმა: „სწრაფად! წამოიღე გიტარაც!“ ალიოშა ნელა გაემართა კარისაკენ. გიტარა ხელში მაგრად ჩაებღუჯა და ისეთი თვალებით უყურებდა ზედამხედველს, თითქოს ეუბნებოდა: ეს ჩემია და მთელ ქვეყანაზე არაფრის გულისათვის არ დავთმობო.

კარლს გააჟრჟოლა.

ალიოშა გერმანელი ოფიცრის წინ შედგა. „აქ მოიტა ეგ ნივთი!“ — დაუყვირა მან და ხელიდან გამოგლიჯა გიტარა. ოთახში კვნესასავით გაისმა სიმების ჟღრიალი.

„მშვენიერია“, — ამბობდა ოფიცერი და ხელში ატრიალებდა საკრავს. შემდეგ ალიოშას ყურს წაეტანა და მაგრად შეანჯღრია. ალიოშამ ტკივილისაგან დაიკვნესა.

კარლ სივერინგმა ღონე მოიკრიბა და ნაბიჯი გადადგა. ეს საშიში ნაბიჯი იყო, მაგრამ სხვა გზა არ ჩანდა. „ბატონო ზედამხედველო“, — ამოილუღლუღა კარლმა და შეეცადა მხნე გამომეტყველება მიეღო, — „მე ვუბრძანე ალიოშას, გიტარა...“

„რაო?!“ — დაიქუხა ესესელმა.

„მე...“ — მაგრამ კარლმა ველარ შეძლო დაებოლოვებინა სათქმელი. ოფიცერმა ფეხი ჩაარტყა მუცელში. წააქცია და ისევ ალიოშას მიუბრუნდა. „მოდი აქ, ზღარბო! ამ ყუთზე ბრახუნი კი იცი, მაგრამ, ხომ არ მეტყვი, საიდან გაჩნდა იგი შენს საწოლზე?“.

ოფიცერი ცბიერად უღიმოდა ალიოშას. ბიჭი დუმდა. მისი მოკუმული ბაგეები ორ უფერულ ხაზს დამსგავსებოდა.

„რაო, არ გსურს მიპასუხო?“ — იღრიალა გამძვინვარებულმა ზედამხედველმა. მერე ორივე ხელით ზეაღმართა გიტარა და ბიჭს თავზე დაახეთქა.

გიტარა დაიმსხვრა, თხელი ფიცარი დაიმსხვრა, ფოლადის სიმები ბუზბუზელასავით დაეხვავა ალიოშას თავზე და კანი გაუჭრა. ბიჭს საფეთქლები სისხლით შეეღება, მაგრამ არ უტირნია. უხმოდ უყურებდა იგი ზედამხედველს. ნაპერწკლებს აფრქვევდა მისი თვალები. განა შეიძლებოდა გეფიქრა, რომ იგი მხოლოდ ცამეტი წლისა იყო?

დიდხანს, მოჯადოებულივით უცქეროდა ზედამხედველი ბიჭს თვალებში. მტკიცე ნებისყოფა, გერმანელი ოფიცრისათვის სრულიად გაუგებარი შეუპოვრობა იხატებოდა ამ თვალებში. ზედამხედველს სურდა გაქცეოდა მათ. ნაძალადევად გაიცინა და დაიყვირა: „რას მომშტერებიხარ, ძაღლის ლეკვო?!“ — გაუ[illegible] სისუსტემ მოიცვა გერმანელი ოფიცერი და ბარბაცით გავიდა კამერიდან.

ალიოშას ბაგეებზე ღიმილმა გადაურბინა, იგი მიხვდა, რომ გაიმარჯვა.

თარგმნა **ი. ლეჟავამ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონი



დილაა. მახათას მთას ეს-ეს არის ამოსცდა უზარმაზარი მზე, მაგრამ კოჯრის გზატკეცილს, კომკავშირის ხეივანსა და ბოტანიკურ ბაღს ჯერ კიდევ დილის ნისლი დასწოლია. გზატკეცილს სირბილით მიჰყვება თხუთმეტიოდე ბავშვი. აი, მიაღწიეს კიდეც კომკავშირის ხეივანს, გვერდზე გაუხვიეს და ბოტანიკური ბაღის ჭიშკარში გაუჩინარდნენ. უმეტესობას რეზინის სპორტული ფეხსაცმელები აცვია, რამდენიმე ფეხშიშველაა, წელს-ზევით კი ყველანი შიშვლები არიან. გაირბინეს ხეივანი, ქვემოთ, ტყიანში დაეშვნენ, თავს გადაევლენ დილის ნამით გალუმპულ ბუჩქებს და ჩანჩქერთან შეჩერდნენ. ხვითქი გადასდით სახეზე.

— აბა, ბიჭებო, ვის გინდათ ცივი შხაპი?—იძახის ერთი და კლდეზე აქაფებულ წყლის ნაკადს მკერდს უშვერს. მას მეორე, მესამე ბაძავს...

— ბრრრ! ბრრრ!—ცივია წყალი.

სხვები ვერ ბედავენ წყალთან თამაშს, სამაგიეროდ, ყირაზე დგებიან, ლოდების ტყორცნაში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

ცოტაც და, ბიჭები კვლავ სირბილით ეშვებიან ქალაქისაკენ, ჩქარობენ, გაკვეთილების დაწყებამდე ათიოდე წუთიღა დარჩა...

ასე იყო ყოველ დილით.

ახლა რომ ჰკითხოთ საბა-სულხანის ქუჩის მკვიდრთ, ვისი იდეა იყო ყოველ დილით მთა-ღრეში სირბილი, ვერ გიპასუხებენ. ისე, თავისთავად გაჩნდა ეს ტრადიცია და, ვინ იცის, შესაძლოა ამისათვის ყურადღებაც არავის მიექცია, რომ იქვე საბა-სულხანის ქუჩაზე სპორტული დარბაზი არ ყოფილიყო. დაინტერესდნენ მწვრთნელები და ბიჭები მალე სპორტული სექციების სტუმრები გახდნენ.

ახლა საბა-სულხანის ქუჩაზე ყველა დარწმუნებულია, რომ ჩოგბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მოსწავლეთა შორის, ალექსანდრე მეტრეველმა, სწორედ კროსით აიდგა ფეხი. ასე იყო თუ ისე, უფროს ძმასა და მის მეგობრებს აყოლილი პატარა ალექსანდრე სპორტით გატაცებამ სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებზე მიიყვანა და ჩოგანი აალებინა ხელში,

ეს ხუთი წლის წინათ მოხდა.

ხუთი წელი ვარჯიში! რამდენი საათი გაატარა ამ ხნის განმავლობაში კორტებზე მეტრეველმა? საათი რა სათქმელია—150 დღე! ბევრი, ვინც სპორტის ამ სახეობას ახლოს არ იცნობს, ფიქრობს, რომ ჩოგბურთი სპორტის «იოლი» სახეობაა, რომ მას არ ჭირდება იმდენი ღონე, სისწრაფე და გამძლეობა, რამდენიც, ვთქვათ, ფეხბურთს, კალათბურთს ან ტანვარჯიშს. შესაძლოა, პირველად ალექსანდრეც ასე ფიქრობდა, მაგრამ შემდეგ, როდესაც დამხმარე ვარჯიშებისათვის საცურაო აუზში, ძალოსნობის დარბაზში და ტანვარჯიშის იარაღებზე მოუხდა თვეობით ყოფნა, მაშინ კი დარწმუნდა, რომ ორ-სამ საათიან დაძაბულ ბრძოლას, რომელიც ხშირია ჩოგბურთში, უდიდესი გამძლეობა, ძალა, სისწრაფე და, რაც მთავარია, დიდი ნერვიული სიმტკიცე სჭირდება.

აბა, გაიხსენეთ გასული წლის ასპარეზობა საბჭოთა კავშირის პირველობაზე უფროსებს შორის. იმ დღეს, ჯერ სრულიად გამოუცდელი ჩოგბურთელი კენჭისყრამ საქვეყნოდ აღიარებულ სპორტსმენს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, მოზერს შეახვედრა. ხალხს აევსო კალინინგრადის კორტები. მაგრამ ის სექტორი, სადაც მეტრეველი და მოზერი ხვდებოდნენ ერთმანეთს, ცარიელი იყო. ასე გასინჯეთ, შეჯიბრის შედეგში წინასწარ დარწმუნებული მოზერის მწვრთნელიც კი არ მოსულიყო.

მართლაც და, ვინ იფიქრებდა, რომ 16 წლის მოსწავლე სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევდა ჩემპიონს.

პირველი პარტია მოზერმა მოიგო, მეორე—მეტრეველმა, მესამე—მოზერმა, მეოთხე—კვლავ მეტრეველმა. ხმა დაირხა, მოზერი დამარცხების მიჯნაზეაო და მოაწყდა ხალხი იქაურობას, ცოცხალი ღობით შეიკრა მოედანი.

— მიდი, ალიკ! არ შეშინდე! გაუძელ!—ესმოდა ხალხის გუგუნში ხმები და გრძნობდა, რომ ეს მარტო თავისიანების შეძახილები როდი იყო.

დაიწყო მეხუთე, გადამწყვეტი პარტია. მოზერი მიხვდა, რომ სისწრაფეში ვერ აჯობებდა ახალგაზრდა ჩოგბურთელს და სწორი გადაწყვეტილება მიიღო; ღონით, ყუმბარისებური დარტყმებით მოექანცა მოწინააღმდეგე. აი მაშინ დარწმუნდა მეტრეველი, რა განუზომელი სამსახური გაუწიეს მას დილის კროსებმა. მუხლში [illegible] ძალა ჩაუდგა, მარჯვენას ისე თავისუფლად [illegible] თითქოს ეს-ეს არის ჩაება ორთაბრძოლაშიო. წლების მანძილზე გაწეულმა შრომამ და ოფლის ღვრამ თავისი გაიტანა. შედრკა მოწინააღმდეგე, ახალგაზრდულმა შემართებამ და ენერგიამ გასტეხა მრავალნაცადი ოსტატი. ასპარეზობის მესამე საათზე მოზერმა ნორჩ მოწინააღმდეგეს გამარჯვება მიულოცა.



დაღლილობა მხოლოდ საღამოს მოვიდა. ისეთი მოქანცულობა იგრძნო, რომ დაწოლის წინ ეჭვიც კი შეეპარა, ვაი თუ, დილით ცხრა საათისათვის ვერ გავიღვიძოო, თუმცა მწვრთნელს, იქვე, გვერდით ოთახში ეძინა; სადღაც, წიგნში წაკითხული ხერხი იხმარა: მაღვიძარა საათი ცარიელ ვედროში ჩადგა. დილის რვა საათზე მთელი სასტუმრო ფეხზე წამოყარა ზარის მგრგვინავმა ხმამ—ეს მეტრეველის ოთახში რეკდა მაღვიძარა.

ამ სენსაციური გამარჯვების შემდეგ მეტრეველმა კიდევ მრავალი ჯილდო და სიგელი მიიტანა შინ. მაგრამ ყველაზე დიდი მიღწევა მაინც ბაქოში მოპოვებული პირველი ადგილი იყო. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს გუნდმა უძლიერს კონკურენტებთან ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. ამ გამარჯვებაში დიდი წვრილი შეიტანა თბილისის 43-ე სკოლის მერვე კლასის მოსწავლემ, ალექსანდრე მეტრეველმა. მან პირად პირველობასა და შერეულ წყვილში ჩემპიონობა მოიპოვა, ვაჟთა წყვილში კი ბაქრაძესთან ერთად, მეორე ადგილზე გამოვიდა.

შარშან მეტრეველმა კიდევ ორ დიდ ასპარეზობაში მიიღო მონაწილეობა: თბილისის საერთაშორისო ტურნირში დამარცხება აგემა «გალეას თასის» მონაწილე, ავსტრალიელ ჩოგბურთელს ჰილბრანდტს, რომელმაც ლონდონში, მსოფლიო პირველობაზე სძლია მის მეგობარს—ნუგზარ მძინარიშვილს. ბრიუსელში საბჭოთა სპორტსმენები თუმცაღა დამარცხდნენ, მეტრეველმა იქაც ისახელა თავი—ერთადერთი გამარჯვება საბჭოთა გუნდს მან მოუტანა.

1961 წელს მიღწეული წარმატებებისათვის, ალექსანდრე მეტრეველი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშია შეყვანილი. წინაა ახალგაზრდობის მსოფლიო პირველობა—ეგრეთწოდებული «გალეას თასი» და საერთაშორისო ტურნირები ლონდონსა და პრაღაში.

«პიონერის» ეს ნომერი უკვე იბეჭდებოდა, როდესაც ქ. სევეროდონეცკიდან მოვიდა სასიხარულო ცნობა. უძლიერეს საბჭოთა ჩოგბურთელთა ასპარეზობაში, ალექსანდრე მეტრეველმა მძინარიშვილთან ერთად მესამე ადგილი დაიკავა, რითაც სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა.

ზ. ორბელი



# ჭადრაკი

ეს მოხდა 1885 წელს ნიუ-იორკში. იმ დროს ნიუ-იორკის საჭადრაკო კლუბს, რომლის პრეზიდენტად გამოჩენილი საჭადრაკო კომპოზიტორი სამუელ ლოიდი იყო, ხშირად აკითხავდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ვილჰელმ სტეინიცი. ოხუნჯობის მოყვარულ ლოიდს უნდოდა როგორმე გაეწბილებია მსოფლიოს ჩემპიონი.

— პატივცემულო ვილჰელმ, — მიმართა მან ერთხელ თავის სტუმარს, —გიწვევთ მატჩზე.

— როგორ, თქვენ? — იკითხა გაკვირვებით მსოფლიო ჩემპიონმა, რადგან იცოდა ლოიდის სუსტი თამაშის ამბავი.

— დიახ. რატომ გაგიკვირდათ, — ღიმილით თქვა ლოიდმა და განაგრძო. — მე თამაშს არ ვაპირებ. ჩვენი შეჯიბრება უჩვეულო იქნება. რა დროშიც მე შევადგენ საჭადრაკო ამოცანას, თქვენ ნაკლებში თუ არა იმავე დროში მაინც უნდა ამოხსნათ იგი. თუ ვერ შეძელით, წააგებთ ნიძლავს.

— კეთილი. თანახმა ვარ.

ლოიდი იქვე მიუჯდა მაგიდას და ათიოდე წუთში შეადგინა ეს სამსვლიანი ამოცანა.



შამათი 3 სვლაში

მსოფლიო ჩემპიონმა მოიკრიბა მთელი თავისი ოსტატობა და 5 წუთში ამოხსნა იგი. თვითონ გაწბილებული ლოიდი ჭარხალივით გაწითლდა და გადაიხადა წაგებული სანაძლეო.

„ვიცოდი, რომ ამოცანა არ იყო ძნელი, — იგონებდა შემდეგ ამერიკელი პრობლემისტი! (ასე უწოდებენ ამოცანების შემდგენელთ), — მაგრამ ვიმედოვნებდი სტეინიცს გაუგრძელდებოდა ყველა ვარიანტის გაანგარიშება. მწარედ შევცდი".

მაგრამ ლოიდი შეიპყრო სამაგიეროს გადახდის სურვილმა. მალე, შემოდგომაზე კიდეც მიეცა ამისათვის ხელსაყრელი მომენტი. ერთხელ, როცა სტეინიცმა ჩვეულებისამებრ შეიარა კლუბში, ლოიდმა მიმართა მას:

— პატივცემულო ჩემპიონო, კვლავ გიწვევთ შეჯიბრებაში, მაგრამ ამჯერად სხვა პირობებით. შემოგთავაზებთ ამოსახსნელად ამოცანას, რომელშიც აუცილებლად უნდა მონახოთ დაცვის ყველა ვარიანტი. თუ ერთი ვარიანტიც გამოგრჩათ — სანაძლეო წაგებული გექნებათ.

მსოფლიო ჩემპიონმა წინადადება მიიღო. ლოიდმა დაფაზე გააწყო შემდეგი ამოცანა:



შამათი 4 სვლაში

ნახევარსაათიანი მოფიქრების შემდეგ სტეინიცმა იპოვა ამოხსნა, რომელიც იწყება 1. კd6-ით. შემდეგ ი გაგრძელებით 2. კf8, 3. კg7 და 4. კ:f6×. მაგრამ დაცვის ყველა ვარიანტი ვერ აჩვენა. ამიტომ ლოიდმა წინადადება მისცა სტეინიცს კიდევ ეფიქრა. მსოფლიო ჩემპიონმა ხუთი წუთიც იფიქრა და თქვა, რომ სხვა ვარიანტებს ვერ ვხედავო. მაშინ გახარებულმა ლოიდმა წამოიძახა:

— რევანში აღებულია. პატივცემულო ვილჰელმ, თქვენ გამოგრჩათ უძლიერესი სვლა 1...კh1, რომლის შემდეგ შამათი ცხადდება არა 2. კf8 -ით, რადგან 2...g2, 3. კ f:g7 გამოდის პატი, არამედ...



## უჩვეულო შეჯიბრება

აქ ვამთავრებთ ამბის თხრობას და მკითხველებს ვთხოვთ მონახონ ლოიდის მიერ ნაჩვენები შამათი. ამასთან შეეცადეთ ამოხსნათ ლოიდის პირველი ამოცანაც. ორივე ამოცანის პასუხი გამოგზავნეთ მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 91, ჟურნალ „პიონერის" რედაქციას. არ დაგავიწყდეთ შეგვატყობინოთ თქვენი ვინაობა, სკოლა, კლასი. სწორ ამომხსნელთა გვარებს გამოვაქვეყნებთ ჟურნალში.

თ. გიორგაძე



# თქმულება ანდრიეშზე

გამოჩენილმა მოლდაველმა პოეტმა ემილიან ბუკოვმა ხალხურ მოტივზე ააგო თავისი შესანიშნავი პოემა-ზღაპარი „თქმულება ანდრიეშზე“, სადაც მწყემსი ბიჭისა და მისი მშობელი ხალხის საინტერესო თავგადასავალია მოთხრობილი. თქმულება მრავალ უცხო ენაზეა თარგმნილი. ქართულად იგი თარგმნა ხ უ ტ ა ბ ე რ უ ლ ა ვ ა მ.

დგას ზაფხული კალთასავსე
და მცხუნვარე მზის კაშკაში,
ირგვლივ მწიფე ყანებია
და ხეხილთა მთელი წყება, —
მძიმდებიან ქლიავები,
ბაღში იწვის წითლად ვაშლი,
ყურძენი კი ზარმაცივით
მზისგულს ზანტად ეფიცხება.

ჭარხლის გვერდით გორავს ნესვი...
არსად არ ჩანს ჩერო გრილი!
ისე ცხელა, მზესაც უნდა
გადავარდეს მდინარეში!
ანდრიეშო — მწყემსო ბიჭო,
ბანაობა გეყო ტკბილი,
ახლოს არის მშრალი-ველი,
სადაც სიცხით მიწაც ხვნეშის.

მშრალი-ველი! — დახეთქილი,
ისე როგორც გობი ძველი,
სიცხისაგან დაღარული
უზარმაზარ ნაოჭებით.
არსად მოლი და ბალახი,
არსად მწვანე, ზოლი ველის,
მხოლოდ თრთიან არყის ხენი
წყალზე ფიქრით და ოცნებით.

ბერი მუხის ასულები,
ფრიალოზე ასულები,
იხრჩობიან, ცახცახებენ,
როცა სუნთქავს ქარი-კვამლი.
და ფესვები სამივ ხისა,
სულ ამაოდ თხრიან მიწას,
დამშრალია ძუძუ მისი,
არ აქვს ერთი ცვარი წყალი.

აქ ოდესღაც, ამ მინდორზე,
ბობოქრობდა ნიაღვარი,
ახლა მხოლოდ დარჩენილა
იმ ნიაღვრის თეთრი კვალი.
დარჩენილა მკვდარი თიხა,
ობიანი მიწა, მკვდარი,
და სტირიან არყის ხენი,
ენატრებათ წვეთი წყალი:

— მო, გვასხურე, წვიმავ, წყალი,
ცვარი წყალი!
გვახრჩობს სიცხით და წყურვილით
ქარი-კვამლი!
აგვებურცა ქერქი შავად,
რაღას გვერჩის?
და ფოთლები დასჭკნენ, როგორც
ნოემბერში.
ჩვენს დარდსა და მწუხარებას
არ აქვს ზღვარი.
ხმას ვერ გვაწვდენს ჩვენი მამაც,
სანუკვარი.
შფოთიანო ნიავქარო,
ერთის წამით,
მოგვაშველე, მოგვასხურე
წვეთი ნამი!
თქვენც ღრუბლებო, გვერდით რატომ
ჩაგვიარეთ,
ქარი-კვამლის მტრობისაგან
დაგვიფარეთ!
სასიკვდილოდ წავიქცევით,
თუ არ გვიხსნით,
სადაც არი ადუღდება
ჩვენი სისხლი...
ვინ გვიშველის ახალგაზრდებს
ვაჟის მკლავით?
ფოთოლს გვიხმობს, კოკორს
გვიხრავს,
ქარი-კვამლი...

მთისძირ ერთი ჭანჭრობია
საშიშარი,
იქ სეტილა გაწოლილა,
საზიზღარი.
ათასფეხა გოლიათი
ველარ დგება,
წევს ბუნაგში და მდინარეს
ეწაფება.
ლურჯი დნესტრი, ნესტით სავსე,
ელავს ახლო,
მაგრამ სჯობს კი მისი ტალღა
ვერა ვნახოთ.
ჩვენს ფესვამდე ველარ აღწევს
ერთი ცვარიც,
მთელ მდინარეს სვამს სეტილა,
საზიზღარი.
ჰეი, ზვირთნო, თქვენ არ იცით
სადღა არი,
ანდრიეში — ჩვენი მხსნელი,
მეგობარი?

ასე თრთოდნენ და მოსთქვამდნენ
არყის ხენი წარამარა,
მათმა კვნესამ და ძახილმა
ანდრიეში ააჩქარა.
და რა ნახა: დნესტრის გასწვრივ,
იმნაირი რაღაც ქშინავს,
ვერ იხილავ ვერასოდეს
სიზმარშიაც და ცხადშიაც.
ზურგზე კუზი აქვს ვეება,
სხეულს ფარავს ქერცლი სქელი,
კუდზე ისლი ამოსვლია
და ყურებში ტევრი ლელის.
ბალახში და ლელიანში
ფუთფუთებენ გამუდმებით
მწერები და ცხოველები,
კოღოები და მუმლები.

წევს სეტილა გაფარჩხული,
ავსებია თვალი სისხლით
და მდინარის ფსკერსა ბურღავს
ათასობით თათი მისი.
მოჰქრის დნესტრი ლურჯტალღება, —
ვერცხლზე უფრო ქაფი ელავს!
მიჰქრის, სადაც სამი ხე დგას
და სჭირდება სწრაფი შველა.
მაგრამ ურჩხულს შავი დრუნჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

დაუღია შემზარავად.
დნესტრსაც უნდა რომ გაექცეს,
მაგრამ მისგან ვერსად წავა!
თითქოს ცეცხლი ეკიდება,
წყალსა ყლაპავს ნება-ნება,
და ველი კი, ფართო ველი,
უწყლობისგან ხმება, ჭკნება!

იმ საზარელს ეყო განა,
რომ დაგვიზრო ეზო, ყანა, —
ტკივილისგან იკეცება, —
იგრიხება, იხვეწება.
თითქოს ცხრა მთა მარილისა
გადაყლაპა ერთიანად:
— წყალი მინდა! ვიხრუკები!
ო, არა გწამთ ღმერთი განა!

აბა, როგორ დავისვენო, —
ყელი როგორ დავისველო,—
ვაი, ვაი!
მდინარენი ამოვსრუტე,
კალაპოტში დარჩა მტვერი,
ამოვხაპე, ამოვაშრე,
არ დავტოვე არაფერი.
აი, აი!
რა დააცხრობს წყურვილს ჩემსას,
ალმოდებულ მუცლის კვნესას!
არა ჰქრება მკერდშიც ალი,
თუმცა წვიმის შევსვი წყალი,
წვეთ-წვეთობით შევსვი ნამი,
ენა გაშრა, როგორც ხავსი,
ვერ ვჩერდები ერთი წამით,
ვერ ვაბრუნებ ენას მაინც,
ვაი, ვაი!
აი, ასე ღრიალებდა
ანთებული, როგორც ლავა.
დნესტრი — მარცხნივ,
ხახა — მარცხნივ,
დნესტრი — მარჯვნივ,
ხახა — მარჯვნივ,
მიილტვოდა თავისთავად.
და ტალღები მდინარისა
ქაფდებოდნენ, ავდებოდნენ,
დასეტყვილნი ავ სეტილის
შავ ხახაში ვარდებოდნენ.
ვარდებოდნენ მის ხახაში
შეძრწუნებით და თარეშით,
და ჰქრებოდნენ სამუდამოდ
ისე, როგორც სამარეში.
არწყულებდნენ ასე უცებ
ცეცხლის ლავით სავსე მუცელს.

დგას მინდორზე ანდრიეში,
გულში ბჭობა გაუმართავს,
წარბშეკრული, ჯავრიანი
ეკითხება საკუთარ თავს:
— მეგობარო, როგორ ვძლიოთ
ეს ავსული
წრეგასული.
ვერა ხედავ, როგორ ხმება,
უწყლობისგან როგორ კვდება,
ეს ველები, საძოვრები,
ჭალები და ბაღ-ბოსტნები?!.

კაცის შრომავ! შენ სიცოცხლის
ხარ სახელი და დიდება.
სიჭაბუკის ღვიძლო ძმაო,
ვინ სთქვა შენი გარინდება.
მიეც მამულს არნახული
ჭირნახული!
გზა გაუხსენ დნესტრის ტალღებს
და მჩქეფარე მისი წყალი
დაგვიბრუნე, რომ დღეიდან
გაქრეს ქვეყნად სიცხის კვალი.

მდინარისკენ გაეშურა
მკლავმაგარი,
ჯერ მარჯვენა სანაპიროს
დაჰკრა ბარი.
რაც კი შეხვდა, — ქვა და ღორღი,
კლდეთა მტვერი,
სეტილს თვალში მიაყარა
ყველაფერი.
შიშისაგან აღრიალდა,
იწყო რწევა
და უმიზნოდ, აქეთ-იქით
კუდის ქნევა.
სიმწარისგან ასისინდა,
ვითარ გველი,
და ბალანი აეშალა
საზარელი.
დაეჟეჟა დინგიც, ზურგიც...
თუმცა, ხედავ? —
მხეცმა ყმაწვილს გაჰკრა კუდი
უცაბედად.
შეკრთა ბიჭი, შებარბაცდა,
მაგრამ იმ წამს,
გამოუსხლტდა ბრჭყალებიდან,
დასწვდა მიწას.
და ტალახით რომ აივსო,
მუჭა ჩქარა,
წამოდგა და ზედ თვალებში
მიაყარა.

გაგიჟდა და გადირია
მაშინ დევი,
ზე აღმართა კუდი გრძელი,
საშინელი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუშინა საკუთარ თავს
გამეტებით, —
დაიჟეჟა ერთობ ზურგი
და გვერდები.
ატრიალა აქეთ-იქით,
მაინც ხელში
ვერ ჩაიგდო მწყემსი ბიჭი —
ანდრიეში.

არ დაზოგა მკლავის ძალა
ანდრიეშმა,
მწირ მიწისკენ გზა გაკვალა
ანდრიეშმა,
გაიყვანა არხი ფართო,
ძალისძალით
მაგრამ სეტილს ვერ გაექცა
მაინც წყალი...

თავდახრილი ანდრიეში
ლაპარაკობს ჯავრით, ხვნეშით:
— სულ ამაოდ დაიხარჯა
ჩემი ოფლი, მკლავის გარჯა.
ვერ წავართვი წყეულ სეტილს
მე მდინარის ერთი წვეთიც.
ვინ მიშველის თუნდაც რჩევით,
რა ვიღონო, სად წავიდე,
საბოლოოდ დავიბენი
ამ საძაგლის გადამკიდე...

უცებ, ყმაწვილს შემოესმა
გულსაკლავი გმინვა წყნარი,—
ეს ჩქარა და უგზო-უკვლოდ
მიფრინავდა ნიავქარი.
და მაშინვე ნაცნობ ხმაზე
აგრიალდა მშრალი ველი,
მუხის ფოთოლს ამღერებდა
სალამური საკვირველი:
— მოუარე ამ კუდს მარჯვნივ,
თუნდაც კიდევ გაგირისხდეს,
და მდინარის თეთრი ტალღა
წაიყვანე ყამირისკენ.

გაიღიმა მწყემსმა-ბიჭმა
და გათხარა არხი მალე,
— ახალი გზა გაგითხარე,
მშრალო-ველო, გაიხარე!
წყალი მარჯვნივ გადავარდა
და აივსო არხი წყლითა,
მშობლიური მინდორ-ველი,
ერთიანად გაიჟღინთა.
სეტილა კი მშრალზე დარჩა,
დაეკარგა მაშინ ძალა,
აიფხორა, გაიბერა,
გრძელი კუდიც ატრიალა,
მაგრამ დიდხანს ვეღარ გასძლო
და წაიღო თქვენი ჭირი!

და ღრუბელი წამოვიდა.
ღამესავით ბნელი, ხშირი,
წამოვიდა, ერთიანად
გადაჰფარა ვრცელი ველი,
მერე ელვა გასრიალდა
და გავარდა მეხი მწველი.
და მოვარდა ჩქარი წვიმა
და მინდორზე გაიჭიმა.
მაგრამ უცებ, სწორედ ტყიდან,
ისე როგორც შავი ფარდა,
ველზე გაწვა ქარი-კვამლი
და ნელინელ გაიზარდა.
კვლავ დაიწყო ამობუგვა
ბალახების, ყვავილების,
გაცოცხლებულ მუხნარების,
არყის ხეთა ნაზ კვირტების.

ანდრიეში, როგორც გიჟი,
მდინარისკენ გარბის ჩქარა,
მწყურვალი და პირგამშრალი,
როცა წყალზე დაიხარა,
აურთქლდა თვალწინ წყალი,
მოკამკამე და ცინცხალი.

ვერ იქნა და ვერ დალია
ერთი პეშვი, წმინდა პეშვი, —
მოწყენილი იხედება
ადუღებულ მდინარეში...
ორთქლად იქცა, ქაფად იქცა,
დნესტრისა და წვიმის წყალი,
რა ქნას ბიჭმა ანდრიეშმა?
თითქოს იყოს მისი ბრალი!
ხედავს: ველი ხანძრის ალში
როგორ ჭკნება, როგორ კვდება,
და სიმწვანე წამიერი
ქრება, როგორც მოგონება.

ხედავს ბიჭი ცრემლიანი:
დედამიწა ისევ ხვნეშის,
კვლავ დაბობღავს ქარი-კვამლიც
და სისინებს სიბნელეში:

— მე ჩავაშრობ ყველა წყაროს,
მე გადავწვავ მთელ სამყაროს!
მე გადავწვავ ბაღ-ვენახებს,
ყველა ბუჩქს და ყველა ბალახს,
მე დავაჭკნობ ყველა ყვავილს,
მე გავაქრობ ყველა ჭალას.
მე გავახმობ ხეებს ძირში,
როცა მინდა, თუ კი მინდა,
მოვსპობ ყველას და ყველაფერს
სიცხითა და წყურვილითა.
დედამიწას ვაქცევ მურად,
და, ყმაწვილო, გესმის, შენა? —
ჩემის ნებით დაედება
მტვრის და ფერფლის სქელი ფენა.
ღრუბლებისკენ წახვალ შენცა;
როგორც ფერფლი, განა მწყემსი...

დაიღალა, ანდრიეში,
სტკივა, მაგრამ არა კვნესის.
ქარი-კვამლის ცხელი სუნთქვით
დამწვარი აქვს სახე სრულად,
საკირეში ჩავარდნილი
ანდრეს არ ჰგავს გარეგნულად.

აი, ამ დროს ესმის კვნესა:
—მოგვეშველე და გვიხსენი!—
ქვითინებდნენ გზასაყარზე
ამოსული არყის ხენი.

ანდრიეშმა გაიფიქრა:
—სულს ღაფავენ აჰა, მგონი,
სად ვიშოვო წვეთი წყალი,
რომ გადარჩნენ საბრალონი.
რა ვიღონო? და მის თვალწინ
უცებ გაჩნდა დონა...დონა...
მისმა სახემ უნებურად
მყის ყაყაჩო მოაგონა.
გახსნა ჩანთა და ყაყაჩო
გააფრინა ქარში ფრთხილად,
გაიფანტა ჯანღი ირგვლივ
და ჩამოდგა მნათი დილა.



ეროვნული ბიბლიოთეკა





დედამიწას ელვის უმალ
მოესხურა დილის ცვარი,
დედამიწა ელვის უმალ
აციმციმდა, ვით ცისკარი.
თუმცა შეკრთა ქარი-კვამლი,
კვლავ აუშვა ჯანღი შავი.
მაგრამ ცისკენ ანდრიეშმა
კვლავ ყვავილი გააფრინა,
უცებ გაჩნდა ტყე უღრანი,
და შესწყვიტა ქარმა გმინვა.
დადგნენ, როგორც მეომრები,
როგორც ძველი მეგობრები,
ნეკერჩხლები და წიფლები,
ჩინარები და იფნები,
მუხები და ცაცხვის ხენი,
ერთმანეთზე მიჯრილები,
და გადამწყვეტ ბრძოლისათვის
მოემზადნენ ტყისშვილები.

შეკრთა, შედრკა ქარი-კვამლი,
ძლივსღა სუნთქავს, განა ჰბერავს,
და ლაჩრულად იხევს უკან,
და გასაქცევ გზასა ზვერავს.
მან ხომ იცის, ტყესთან მტრობა
ძნელია და სახიფათო,
დამარცხდება ქარი-კვამლი,
თუნდაც მკერდით აღიმართოს!
ამ ტყის იქით დადგა რიგი
ნეკერჩხლების თადარიგის,
მას მესამე მოსდევს ზოლი,
ჩინარების თეთრი ზოლი,
მათ ძალა აქვთ შემართების
და სურვილი მტერთან ბრძოლის.
ჩინარებს კი გაშლილ ხელით
ამოუდგნენ ნაძვის ხენი,
ფიჭვის ხენიც რახანია,
აქ არიან, მზად არიან.
ჩვენს მიწაზე ჩვენმა მტერმა
ვერ იპოვოს გზა და კარი.
უკაცრავად, გვალვისათვის
აქ ადგილი არსად არი!
ბედნიერი ანდრიეში
ამოიღებს ყვავილს ისევ,
და მესამე თოთო ფოთოლს
მხიარულად გზავნის ცისკენ!
წამოვიდა მაშინ წვიმა
და მთაბარმა გაიღიმა, —
ბაღებს, ბოსტნებს და ვენახებს
დაეფრქვია ცვარი ცისა,
გაზაფხულის ხორბლის თვალმა
საიმედოდ გაიღვიძა.

გზა განაგრძო მხიარულად
ჩვენმა გმირმა ანდრიეშმა,
მისმა ტკბილმა სალამურმა
აღტაცებით დაიკვნესა,
და სალამურს შეუერთდა
ტყე — უსაზღვროდ ბედნიერი.
მდინარისპირ ტირიფებმა
მოაბნიეს თეთრი მტვერი.
მინდვრები და ჯეჯილები
ბიჭს აქებდნენ წმინდა გულით,
ცისარტყელამ თაყვანისცა
ცისიერი სიყვარულით.
და ქალებიც ქანაობდნენ,
სურდათ ეთქვათ აი ასე:

— ეს ბიჭია ჩვენი მხსნელი,
რომ მიილტვის თავის გზაზე!
ქარი-კვამლის ჯადოსაგან
მან დაიხსნა ჩვენი მხარე,
ჩვენც ამიტომ შევიყვარეთ,
ჩვენც ამიტომ შევიყვარეთ!
დნესტრის ტალღამ ანდრიეში
მეგობრულად გააცილა,
გადმოლახა ნაპირი და
ჩასჩურჩულა თანაც ფრთხილად:
— ჩემთვის ბევრი გააკეთე,
კეთილი და კარგი რამე!
წადი, გასწი, არ მოგაკლდეს
გამარჯვება და სიამე.
მაგრამ როცა ჟამი მოვა,
დაგიდგები ძმურად მხარში.
ოღონდ შესვი წვეთი წყალი,
შენთან მოვალ უმალ მაშინ.
ყველა ჩემი შენაკადი
და ოჯახი ჩემი მთელი,
უკანასკნელ წყაროს წყლამდე,
შეიქმნება შენი მცველი!

* * *

დნესტრის ტალღებს რომ დაშორდა,
ბიჭმა ფეხი ააჩქარა,
იქით, სადაც მოელოდა
სულ უცნობი გზა და შარა.
მიდიოდა და ესმოდა
შეძახილი არყის ხეთა,
როგორც ქერა ასულები,
ჩურჩულებდა სამივ ერთად:

— ერთხელ კიდევ მოიხედე,
ჩაუარე ბექობს ნელა...
რაც გვასხია ტანზე ტოტი,
შენი არი, მწყემსო, ყველა!
ერთი ტოტი შეგვატეხე
და წაიღე სამახსოვროდ,
ვით ნიშანი სიყვარულის
თან ატარე, ძმათა სწორო.
თუ კი სადმე ამ დიდ გზაზე
გაჭირვება დაგადგება,
დაგვიქნიე ტოტი ჩვენი,
არასდროს რომ არა ჭკნება;
და წამოვა ჩვენი ხალხი,
ტყე ძველი და უდაბური,
ტყეც ახალი და გულადი,
ყველა — შენგან სულჩადგმული.
მწყემსო ბიჭო, შენს საშველად
დაიძრება ერთად ყველა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოხეტიალე მუსიკოსი

ამ ორმოცდაათი წლის წინათ, მოსკოვის ქუჩებში, გამვლელთა ყურადღებას იქცევდა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის, შუატანის ნაბადწამოსხმული ჭაბუკი, რომლის მეტად გამომეტყველი, ჰკვიანური თვალები, ახლად აფურჩქვნილი ულვაშები და თავზე კოხტად მორგებული თუშური ქუდი მის ისედაც მიმზიდველ ქართველურ იერ-სახეს უფრო მიმზიდველს ხდიდა.

ეს ახალგაზრდა, თბილისის მკვიდრი, ჩუღურეთში დაბადებული და აღზრდილი ილიკო ქურხული იყო. მისმა პირველმა მასწავლებელმა, ცნობილმა კომპოზიტორმა ნიკო სულხანიშვილმა ილიკოს სმენა და გემოვნება გაუფაქიზა, ვიოლინოზე დაკვრას შეაჩვია და მუსიკა ისე ძლიერ შეაყვარა, რომ იგი მოსკოვის ფილარმონიის მუსიკალური სასწავლებლის ერთ-ერთ ნიჭიერ სტუდენტად ითვლებოდა.

რამდენიმე წლის განმავლობაში ილიკო წარმატებით ეუფლებოდა ვიოლინოზე დაკვრის რთულ ტექნიკას გამოჩენილი მოსკოველი პროფესორის სიბორის ხელმძღვანელობით, რომელიც ილიკოზე დიდ იმედებს ამყარებდა. ერთხელ, თავის ნიჭიერ სტუდენტს პროფესორმა მხარზე ხელი დაადო და უთხრა: ხვალ კონცერტი მაქვს და შენც უნდა გამოხვიდეო. კონცერტს რჩეული საზოგადოება დაესწრო. ილიკომ ჩაიკოვსკის «წლის დრონი» და მასნეს «ელეგია» შეასრულა. ახალგაზრდა მუსიკოსს დიდი გამარჯვება ხვდა წილად.

მაგრამ, როცა ილიკო შინ დაბრუნდა, მას თავისი წარმატება არ ახარებდა, არც კი ფიქრობდა მასზე. მის თავში ამ ორი საათის წინათ მდიდრულ დარბაზში შეკრებილთა კმაყოფილებით აღსავსე სახეები ირეოდნენ. სრულებითაც არ ჰგავდნენ ისინი იმ უდროოდ სახედანაოჭებულ და ნაღვლიან ადამიანებს, რომელთაც იგი მოსკოვის განაპირა უბნებში ხვდებოდა.

— ვისთვის, თუ არა ხალხისთვის, გვინდა ჩვენ მუსიკალური ხელოვნების დიდოსტატთა უკვდავი ქმნილებები?! — შეეკითხა იგი თავის თავს.

კლასიკური და ხალხური მუსიკის „დემოკრატიზაციის“ იდეამ ისე გაიტაცა, რომ ერთი მოსკოვური გაზაფხულის დღეს, როდესაც სასწავლებელში არდადეგები დაეწყოთ, იგი მუსიკალური კულტურის ფართო პოპულარიზაციის მიზნით პირველად გამოვიდა მოსკოვის ერთ-ერთ ხალხმრავალ მუშათა ეზოში დიდი ბასმანის ქუჩაზე. მან აქ სხვა კლასიკურ ნაწარმოებებთან ერთად შეასრულა ჩაიკოვსკის და მასნეს ნაწარმოებნი. ილიკო ახლა უფრო ღელავდა, ვიდრე იმ საღამოს, როცა გამარჯვებას ულოცავდნენ მას თეატრის ლოჟებიდან...

ამ „უჩვეულო კონცერტმა“ ეზოს მცხოვრებთა უდიდესი აღტაცება გამოიწვია. პირველი წარმატებით აღფრთოვანებულმა ილიკომ უფრო თამამად გასწია წინ არჩეული გზით. „ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრება შეიცვალა არაჩვეულებრივი, შინაარსიანი, საამური განცდებით აღსავსე ცხოვრებით. მე არ ვფიქრობდი საჭმელზე, არც დასვენებაზე. დავდიოდი, უფრო კი დავფრინავდი ეზოდან ეზოში“, — წერდა მუსიკოსი.

როდესაც სასწავლებლის დირექტორმა ბრანდუკოვმა შეიტყო, რომ მისი სტუდენტი ეზოებში კონცერტებით გამოდიოდა, განრისხდა.

— უბრალო ხალხს არ სჭირდება მუსიკა, იგი მას არ ესმის. თქვენ კი ტყუილუბრალოდ კარგავთ დროს, ხეტიალობთ ჭუჭყიან ეზოებში! თუ კიდევ დაიწყებს ხეტიალს ეს ხალხოსანი სტუდენტი, გარიცხეთ სასწავლებლიდან! — უბრძანა დირექტორმა თავის ხელქვეითებს.

— მე კი, — ბატონო დირექტორო, — უბრალო ხალხი მუსიკის ჭეშმარიტ შემქმნელად მიმაჩნია და მის საუკეთესო გამგებად და დამფასებლად ვთვლი, — შეესიტყვა ილიკო დირექტორს და დემონსტრატიულად დატოვა სასწავლებელი.

იმ დღიდან ილიკომ თავის თავს „მოხეტიალე მუსიკოსი“ უწოდა და ფართო მასებში კლასიკური მუსიკის პროპაგანდა დაისახა მიზნად; შემოიარა მთელი მოსკოვი, პეტერბურგი, რუსეთის, საქართველოსა და უკრაინის მრავალი ქალაქი.

„ჩემი მოგზაურობა-ხეტიალი გრძელდებოდა დილის ათი საათიდან მზის ჩასვლამდე თითქმის ყოველდღე. მხოლოდ დაღლილი თითები მაგრძნობინებდნენ მოქანცულობას“, — იგონებდა მუსიკოსი...

ილიკოს პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. მუსიკოსს ხან შინ, ხან იმ ეზოს ფანჯრებიდან, სადაც იგი გამოდიოდა, უთვალავ უსახელო და ხელმოწერილ ბარათებს უგზავნიდნენ. ეს იყო უბრალო ხალხის მადლობის, აღტაცებისა და წრფელი გრძნობების გამომხატველი ბარათები.

ილიკო არ გამოდიოდა როგორც მარტო შემსრულებელი. იგი თავის მსმენელებს მოუთხრობდა ნაწარმოების შინაარსზე, კომპოზიტორის ჩანაფიქრზე და საერთოდ მუსიკის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ცხოვრებაში. იგი ამავე დროს ბეჭდავდა წერილებს მოსკოვის გაზეთებში, სადაც ანვითარებდა კლასიკური მუსიკის ფართო მასებში დანერგვის იდეას.

მოხეტიალე მუსიკოსის ერთ „ეზოს კონცერტს“ სრულიად შემთხვევით დაესწრო ცნობილი ქართველი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი, რომელიც იმ დროს მოსკოვში მოღვაწეობდა. კომპოზიტორს ძალიან მოეწონა მისი საქმიანობა და პატივისცემის ნიშნად ახლადგამოცემული თავისი საინტერესო ნარკვევი — ქართულ ხალხურ საკრავებზე, მესტვირეებზე და მთქმელებზე — უსახსოვრა. მესტვირეებითა და ქართული საკრავებით ბავშვობიდანვე დაინტერესებულ ილიკოს მუსიკალური ფოლკლორისა და ხალხური საკრავების ღრმა მცოდნის დიმიტრი არაყიშვილის ნარკვევმა დიდი სურ[illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა რა, — უფრო ახლო მისულიყო ამ უანგარო და პატიოსან სახალხო მუსიკოსთა შემოქმედებასთან. ილიკო ქურხული დაუმეგობრდა დიმიტრი არაყიშვილს, რომელსაც შემდეგ იგი თავის სულიერ მამად თვლიდა.

ქურხულის თაოსნობითა და არაყიშვილის ხელშეწყობითა და პირადი მონაწილეობით, რუსეთის სამრეწველო ცენტრებსა და მუშათა რაიონებში ხშირად იმართებოდა მუსიკალურ-დრამატული დილები და დივერტისმენტები. ილიკოს რეპერტუარი დღითიდღე მდიდრდებოდა ბეთხოვენის, მოცარტის, ლისტის, შოპენის, შუბერტის, ბოკერინის, როსინის, პონკიელის, ჩაიკოვსკის, გლინკას, ბოროდინის, მუსორგსკის, სულხანიშვილის, არაყიშვილისა და სხვათა ნაწარმოებებით.

ილიკოს მოღვაწეობით პოლიციაც „დაინტერესდა“ და მას თვალ-ყურის დევნება დაუწყო.

1913 წელს, მოსკოვში, არბატზე, მანეჟის ახლოს, ერთ მზიან ეზოში ხალხი შეკრებილიყო. მკლავებდაკაპიწებულ დიასახლისებს საოჯახო საქმეები მიეტოვებინათ და ფანჯრებიდან და აივნებიდან განაბულები უსმენდნენ დიდებულ ჰანგებს. ეზო სავსე იყო სტუდენტებით, ბავშვებითა და სხვა ხალხით. საიდანღაც უბნის ბოქაული გაჩნდა. იგი ცოტა ხანს გაუნძრევლად იდგა, გეგონებოდათ მუსიკამ მოაჯადოვაო, შემდეგ კოპები შეიკრა და უცნაური „კრების“ მიზეზს მიუახლოვდა... ვინაობა გამოკითხა და დააპატიმრა.

საგანმანათლებლო საქმის ენთუზიასტს გამოექომაგა მოსკოვის საზოგადოება „ხელოვნება“, ხოლო იმდროინდელმა დემოკრატიული მიმართულების გაზეთებმა გამოაქვეყნეს სტატიები სათაურებით: „მევიოლინე პატიმრობაში“, „ილიკო ქურხულის დასაცავად“, „ეზოს კონცერტები“, „მოხეტიალე მუსიკოსის ჩანაწერებიდან“ და სხვა. რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობის გამოხმაუ-



### ქ. გომიაშვილი

ეშმაკის ფეხს კახას
დამჯდარს ვერვინ ნახავს,
არ აჩერებს პირს,
მზესუმზირას ჭამს,
ჰყრის ნარჩენებს ძირს,
ნაგვით ავსებს სკამს.
შესვენების დროს
დარბის დერეფანში,
ცირას, ხან ანდროს
ხელს ჩაავლებს თმაში.
დარბის, დასრიალებს,
ეჯახება სხვას,
ეხეთქება კარებს,
«ვაჟკაცივით» დგას.
დარბის აქეთ-იქით,
სარმას უდებს ბიჭს,
ემტერება იგი
ჭკვიანსა და დინჯს.
გაკვეთილზე რა ქნას
ვერ ისვენებს ის,
არ ასვენებს მთელ კლასს,
ცხრა ადგილზე ზის.
დადის მერხებს შუა,
ჩურჩულებს და ხტის,
ეტყვი? — თითქოს ყრუა,
იცქირება ძირს.
ეშმაკის ფეხს კახას
დამჯდარს ვერვინ ნახავს,
არ უჯერებს უფროსს,
აყვირდება უფრო.
რა მოელის კახას,
ამას ბოლოს ნახავს!

ნახ. თ. **სამსონაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებამ და პროტესტებმა პოლიციის მოხელეთა სიბეცეზე იმოქმედეს. მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული მალე გაათავისუფლეს და ნება დართეს თავის საქმეს დაბრუნებოდა.

პირველი იმპერიალისტური ომის დაწყების წინ, 1914 წლის ზაფხულის ერთ დილას, ილიკო პეტერბურგიდან ფინეთში ჩავიდა და მაქსიმ გორკის ეწვია მუსტამიაკის აგარაკზე.

— მე თქვენ კარგად გიცნობთ, ილია, უთხრა გორკიმ ქურხულს, — ვადევნებ თვალ-ყურს თქვენს სასარგებლო მუშაობას. მარტო ის პოლემიკა რად ღირს, რომელიც თქვენს დასაცავად გაიმართა მოსკოვის გაზეთებში შარშან. თქვენი კონცერტები ხალხში, დროულია. უნდა მოგახსენოთ, ილია, რომ არც ერთ შეგნებულ მუსიკოსს ამ განხრით არ უმუშავნია და პიონერობა თქვენ გეკუთვნით. მომწონს, მთელი გულით თანაგიგრძნობთ და, რითაც შემეძლება, დაგეხმარებით.

— ძვირფასო, ალექსი მაქსიმეს ძევ, ხალხისადმი მიძღვნილ ჩემს მცირე სამსახურს უბის წიგნაკში ვიწერ, ბევრი რამ საინტერესო შევაგროვე და მკითხველს მინდა გავუზიარო.

— სად გინდათ დაიბეჭდოს თქვენი წერილები? — ჰკითხა გულისხმიერმა მწერალმა.

— ჟურნალ „ლეტოპისში“, რომელსაც თქვენ რედაქტორობთ.

—თანახმა ვარ... დაგიბეჭდავთ.

დიდ მწერალთან შეხვედრამ ილიკო აღაფრთოვანა, ახალი ენერგია შემატა.

ილიკო ქურხულის მოღვაწეობის არე მარტო რუსეთის ფარგლებით არ ამოიწურება. მისი თავისებური შემოქმედება დიდი პოპულარობით სარგებლობდა, აგრეთვე, ევროპის ქვეყნებშიც. მან შემოიარა გერმანია, საფრანგეთი, ფინეთი, თურქეთი, საბერძნეთი, მაკედონია, ბოსნია, გერცოგოვინა (ახლანდელი იუგოსლავია), ბულგარეთი და სხვა ქვეყნები. იგი დიდი ალტაცებით მიიღეს პარიზში. გულთბილად ხვდებოდა ფრანგი მოსახლეობა მუსიკოსს ბულვარებსა და მოედნებზე და მის კონცერტებს ყოველმხრივ უწყობდა ხელს. საფრანგეთში ილიკოს „ქართველი მინეზინგერი“ შეარქვეს. დასახელებული ქვეყნებიდან მუსიკოსმა ყველაზე დიდხანს და ნაყოფიერად ბულგარეთში იმოღვაწა, სადაც მას „ბულგარეთის მესაიდუმლეს“ და „კეთილისმდომს“ უწოდებდნენ. ბულგარეთში ქურხული გამოდიოდა კონცერტებით, მოხსენებებით და ლექციებით სკოლებში, უნივერსიტეტებში, კლუბებში და პედაგოგთა წრეებში, ბულგარელი მეგობრების დახმარებით გამოაქვეყნა ორი წიგნი. პირველ წიგნში ვრცლადაა გაშუქებული საქართველოს კულტურა, მეორე წიგნი უფრო ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და მის მოგზაურობა-მოღვაწეობას ეხება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ქურხულის ოცნებას — ხელოვნება ღრმად შეჭრილიყო მასებში — ფრთა შეესხა თვით ხელისუფლების მზრუნველობით. მასების ფართო მუსიკალური განათლების მიზნით საბჭოთა საქართველოს მთავრობამ ქურხულს აუშენა ორი მოძრავი ოთახი-ვაგონი, რომლებსაც მადლიერმა მუსიკოსმა „საგულთენო“ უწოდა.

პირველ „საგულთენოს“ წილად ხვდა რუსეთის იმ ზოგიერთი ადგილის შემოვლა, სადაც ილიკომ პირველი გაუბედავი ნაბიჯები გადადგა. მეორე „საგულთენოთი“, რომელსაც „საქართველო“ ერქვა და უფრო



ი. ქურხული თავის მეგობარ კომპოზიტორ დ. არაყიშვილთან.

ტევადი და კომფორტაბელური იყო, ილიკომ საქართველოს ქალაქები და სოფლები შემოიარა. აღსანიშნავია ამ მრავალმხრივი მოღვაწის როლი რადიოს პოპულარიზაციის საქმეში. მისი „საგულთენო“ საქართველოს რადიოფიკაციის პირველ პერიოდში რადიომაუწყებლობის ერთგვარ საჩვენებელ საშუალებასაც წარმოადგენდა. ამ ახალ საქმეს პირველ ხანებში ილიკო ქურხულმა მრავალი კოლმეურნე და მოქალაქე აზიარა.

საქართველოში მოგზაურობის დროს ილიკო ქურხული გაეცნო და დაუახლოვდა სახალხო მთხზველებსა და მესტვირეებს — დედას ლევანას, ჯილაურს, მარკოზაშვილს, გელბაქიანს, ტოგონიძეს, ერაძეს, გრძელიშვილს და სხვებს. მათი შემოქმედება მის სულიერ საზრდოდ იქცა და წარუშლელი კვალი დატოვა მუსიკოსის შემდგომ მუშაობაზე. ილიკომ ამ მთქმელთა და მომღერალთაგან გაგონილი, ხალხის წიაღში ნაპოვნი მრავალი ძვირფასი მარგალიტი ჩაიწერა და გადაიტანა ნოტებზე, რომლებიც ახალი საკოლმეურნეო სოფლის გლეხობას უშუალოდ თვითონვე, თავისივე გაუმჯობესებული გუდასტვირისა და ჩანგის საშუალებით დაუბრუნა.

— მე ვყოფილვარ ამ მშვენიერ ლამაზ სოფელში, როცა ქოჩორი შუბლზე დამთამაშებდა, როცა მუხლი მაგარი მქონდა. მაგრამ ახლა, როცა სამოც წელზე მეტი დამაწვა კისერზე, ისევ მოვედი, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვემსახურო ჩემს ლამაზ, ტურფა, ზურმუხტ სამშობლოს, — ეუბნებოდა ღვაწლმოსილი მუსიკოსი თავის ახალ მსმენელებს.

**ლ. ჯულაბაშვილი**



# ბენჩო და ბუნჩო

ზღაპარი

ცხოვრობდა ტყეში მეზობლად ორი დათვი: ბენჩო და ბუნჩო. ბენჩო დიდთავა იყო, ბუნჩოს — პატარა თავი ჰქონდა. საზრდოს საშოვრად მუდამ ერთად დადიოდნენ, ერთიმეორეს ეხმარებოდნენ. იმათ მეზობლობაში ის იყო ცუდი, რომ დიდთავა ბენჩო ძალიან ხარბი იყო და თავის კეთილ მეზობელს ხშირად ღალატობდა: ნანადირევს სწორად არ უნაწილებდა, პარავდა, უმალავდა. თუ სადმე მძორს ან სხვის ნანადირევს წააწყდებოდა, ისე შესანსლავდა, არ ატყობინებდა. ბუნჩომ იცოდა მეზობლის სისვავე, მაგრამ რა უნდა ექნა, უმეზობლოდ ცხოვრება, და ისიც იმ უღრან ტყეში, არც ისე ადვილი იყო.

რომ იტყვიან, კაცს სიავე არ შერჩებაო, მსუნაგ ბენჩოსაც ასე დაემართა...

ერთ საღამოს კეთილი ბუნჩო მივიდა მეზობელთან და უთხრა:

— ჩემო ბენჩო, ვიცი შენ ტკბილი ძლიერ გიყვარს და მინდა გაგახარო: ამ დილით ფიწალა გორის ძირას ფუტკრის დიდ ბუნაგს წავაწყდი. ეტყობა, დიდი ხნის დაბუდებულია, ფუღუროდან თაფლი პირდაპირ ზოლებად ჩამოსდის უზარმაზარ ცაცხვს.

— ვიცი, გუშინ მეც შევნიშნე ეგ საკბილო და ხმა ვეღარ მოგაწვდინე, — იცრუა ბენჩომ. — ამ საღამოთი რაღას მოვასწრებთ და, ხვალე მოვუგრიხოთ კისერი...

— კარგი, დაგელოდები, — დაეთანხმა ბუნჩო და გასწია თავის ბუნაგისაკენ.

დილით, ტყეში შუქი ჩამოიჭრა თუ არა, დიდთავა ჩუმად გამოძვრა ბუნაგიდან და ფიწალა გორისაკენ გასწია.

ფუტკარი ვეება ცაცხვის ფუღუროში იყო დაბინავებული, ეტყობოდა, მართლაც დიდი ხნის ოჯახი იყო, მართლაც სწვეთავდა თაფლი ისე, რომ ხის ტანი დაელბო და მიწა გაეშავებინა.

მსუნაგ ბენჩოს თაფლის დანახვაზე კბილები აუკაწკაწდა. წვალებით აბობღდა ფუღუროსთან, ტოტებზე ჩამოჯდა, გამაგრდა და მიადგა საფუტკრის კარს. რამდენჯერმე შეყო ტუჩი შიგ და თავი ვერ შეეტია. კარებთან რაც თაფლი იყო, ხარბად მოსვლიპა, ამით მადა უფრო აღეძრა, აფორიაქდა, ფუღუროს თათებით დაუწყო ცემა. ფუღუროდან ფუტკარი კვამლივით გამოიშალა, დაესია თაფლის ქურდს, მაგრამ რას გააწყობდნენ ბენჩოსთან!

იმხელა თათების ცემაში ფუღუროს კარს რამდენიმე ნაფოტი ავარდა, ნაპირები შემოატყდა და, როგორც იქნა, გაჭირვებით შერგო გასიებული თავი ბენჩომ.

იმდენი თაფლი შეთქვლიფა ჯიბრით, ჩემს მეზობელს აღარაფერი დარჩესო, რომ ტომარასავით გაიბერა, თანაც გამწარებულმა ფუტკრებმა კბენით თავ-პირი კუნძივით გაუხადეს. ჭამა რომ იკმარა, სცადა თავის გარეთ გამოთრევა, მაგრამ ვეღარ შეძლო. ბევრი იწვალა, იღრიალა, იქნია ფეხები, უბარტყუნა ხეს თათები, მაგრამ გასიებულ დიდ თავს ვეღარაფერი მოუხერხა. დარჩა ფუღუროში და ჩამოეკიდა ზედ გაბერილ ტომარასავით...

კეთილი ბუნჩო კარგა ხანი ელოდა მეზობელს თაფლზე წასასვლელად. ბოლოს, რომ არ გამოჩნდა, თვითონვე მიაკითხა ბუნაგში. აღარც იქ დახვდა.

— მსუნაგი! მატყუარა! მარტო გაპარულა! — წაიბურტყუნა ბუნჩომ და იქით გასწია.

ის იყო, ერთი-ორი ხევი გადაირბინა რომ, ფიწალა გორის მხრიდან შემოესმა ტყის უცნაური ჟრიამული: კრიახი, ჩხავილი, ხითხითი, ხარხარი...

ამ ხმაურზე კიდევ უფრო აფორიაქდა ბუნჩო. ნამდვილად იქ რაღაცა ხდებაო, გაიფიქრა. ნაბიჯი ფრთხილად შეანელა, მალვა-პარვით მიუახლოვდა იმ თაფლიან ხეს და, მართლაც, ფუღუროში გაჭედილი მეზობელი შერჩა ხელში... ჯერ კიდევ საცოდავად ხროტინებდა და იქნევდა ფეხებს, ზედ ფუტკრების შავი გუნდი ესეოდა. იქვე თავი მოეყარა ტყის ყველა მცხოვრებს. შეჰყურებდნენ გასაჭირში ჩავარდნილ თაფლიჭამიას და ტყე ერთი ხმაური, ხითხითი, ხარხარი, [illegible] მოთქმა...

კეთილ ბუნჩოს მაინც შეეცოდა ხარბი, მატყუარა მეზობელი, სცადა მისი გადარჩენა, მაგარმ დასიებული თავი ვეღარ გამოუღო ფუღუროდან. და დარჩა ბენჩო ასე ხეზე ჩამოკიდებული...

თურმე ახლაც იმ ტყეში იქვე ჰკიდია. რამდენიმე ხნის წინათ უნახავს მონადირეს, რომელმაც ეს ამბავი მიამბო.

**როსტომ ელანიძე**

ნახ. რ. ცუცქირიძისა



*წაიკითხეთ ბავშვებს!*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტექნიკის სიახლენი



## საბურავს ლურსმანი არ აშინებს

ჩვეულებრივი სურათია: ამწეთი გვერდზე გადახრილი ავტომობილი. გაოფლიანებული მძღოლი ჭაპანწყვეტით ცვლის ბორბალს—საბურავია გახვრეტილი...

ბოლო დროს, ავტომობილებმა თითქოს უფრო საიმედო საბურავები მიიღეს, თვალს კამერა აღარა აქვს, ასეთ საბურავს რომ ლურსმანი შეესობა, ნახვრეტი თავისით იკრავს პირს და კიდევ კარგა ხანს შეიძლება მგზავრობა, მაგრამ, როგორც კი ლურსმანს გამოიღებენ, საბურავი იმ წამსვე დაუშვებს და მისი გაბერვა უკვე სპეციალური კომპრესორითღა შეიძლება. ეს კი, მგზავრობის დროს, ძნელი საქმეა.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ გამოჩნდა საბურავები რომლებსაც სრულიად არ ეშინიათ გახვრეტის. ასეთი საბურავების მასალა ხელოვნური კაუჩუკის ერთ-ერთი სახეობა—ბუტილკაუჩუკია. მაგრამ ამ უძვირფასესი ნედლეულის მისაღებად იზობუტონია საჭირო. დღემდე იზობუტონს მხოლოდ საკვები მასალისაგან ამზადებდნენ, ეს მეტად ძვირი ჯდებოდა. ახლა კი, ჩვენი მოძმე აზერბაიჯანის, სუმგაითის ქარხანაში მისი მიღება იაფი ნედლეულის—ბუტონისაგან დაიწყეს. მართალია, იზობუტონის მისაღებად ასი გრადუსი სიცივის შექმნაა საჭირო, მაგრამ ეს თანამედროვე ტექნიკისათვის სიძნელეს არ წარმოადგენს.

1962 წელს სუმგაითში დაამზადებენ ბუტილკაუჩუკის პირველ საბურავებს და ავტომანქანებს ისიც კი ვერ დააბრკოლებს, გზა ლურსმნებით და მინის ნამსხვრევებით რომ იყოს მოფენილი.



### სადილობისას

პატარა სოფიოს სადილობისას პაპასთვის რაღაცის თქმა უნდოდა.

— პაპა... — დაიწყო მან, მაგრამ პაპამ სიტყვა გააწყვეტინა და მკაცრად უთხრა:

— ბავშვები სადილობის დროს არ უნდა ლაპარაკობდნენ!

სადილობას რომ მორჩნენ, პაპა სოფიოს მიუბრუნდა:

— აი, ახლა შეგიძლია მითხრა, რისი თქმაც გინდოდა.

— ახლა გვიანაა. მინდოდა მეთქვა, რომ შენს თეფშში ბუზი იყო ჩავარდნილი.

### ვაშლი

დედამ თავისი ბიჭუნა მაღაზიაში გაგზავნა კილოგრამი ვაშლის საყიდლად. ბიჭუნა რომ დაბრუნდა, დედამ აწონა ნაყიდი ვაშლი, იგი მხოლოდ 700 გრამი გამოვიდა. გაბრაზებული დედა მაღაზიაში გაიქცა და გამყიდველს ჩხუბი დაუწყო.

როცა გამყიდველმა გაიგო, რაშიც იყო საქმე, გაიღიმა და მშვიდად უთხრა:

— ქალბატონო, ჩემთან ჩხუბის ნაცვლად, სჯობდა თქვენი ვაჟიშვილი აგეწონათ.

### რა არის ტრადიცია

— თანდათან იკარგება ძველი ადათ-წესები, იდევნება ტრადიციები, — ამბობდა უკმაყოფილოდ პიერის მამა.

— მამილო, რა არის ტრადიცია? — იკითხა პიერმა.

— ტრადიცია, პიერ, არის ის, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა ხოლმე.

— მაშასადამე, ჩემი შარვალი არის ტრადიცია, — დაასკვნა პიერმა.

ფრანგულიდან თარგმნა
ლ. გიორგობიანმა

### გაჩერებული საათი

— ნეტავ რად გაჩერდა საათი? — იკითხა მამამ.

— ხვალვე მესაათესთან წავიღებ, — თქვა დედამ, — ალბათ გაწმენდა უნდა.

— არა, დედა! — უთხრა პატარა ნიკოლამ. — საათი სუფთაა, ამ დილით კარგად გავრეცხე ტაშტში.

### ტელეფონის ნომერი

პატარა მარიმ გაკვეთილზე ხელი ასწია.

— რა გინდა, მარი? — შეეკითხა მასწავლებელი.

— ქალბატონო, ისტორიის სახელმძღვანელოში ქრისტეფორე კოლუმბის გვერდით რატომ წერია (1451-1506)?

ხელი ასწია ლუსიმ.

— შენ იცი, ლუსი? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— დიახ, ქალბატონო.

— აბა, თქვი.

— ეს რიცხვები კოლუმბის ტელეფონის ნომერია.

ფრანგულიდან თარგმნა
ი. ჩხიკვაძემ.

# მოკლედ ყველაფერზე

## ჟანგბადი კოსმონავტებისათვის

როგორ უზრუნველყონ კოსმოსური გაფრენების დროს ადამიანები ჟანგბადით? — ეს საკითხი მთელი მსოფლიოს მეცნიერებს აღელვებს.

...ამერიკელმა მეცნიერებმა სრულიად იზოლირებულ კამერაში მოათავსეს თეთრი თაგვი. კამერაში ჟანგბადის ერთადერთ წყაროს შეადგენდა წყალმცენარე ქლორელა. ასეთ მდგომარეობაში თაგვმა 66 დღე დაჰყო. მას შეეძლო მეტ ხანს გაძლებაც, მაგრამ წყალი სულ შესვა, ამიტომ ცდა შეწყვეტილ იქნა.

ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში კამერაში ჟანგბადის შემცველობა 21-დან 63 პროცენტამდე გაიზარდა, აზოტისა კი, უცნობი მიზეზების გამო, შემცირდა. კამერაში არ დაგროვებულა არც ნახშირორჟანგის გაზი, არც მეთანი და ეთანი. კამერაში 66 დღის ყოფნის შემდეგ თაგვმა წონაში მოიმატა, დარჩა ჯანსაღი და დედამიწაზე ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნდა.

გადიდდა წყალმცენარის წონაც.

## ზღვის წყალი — სასმელად

მზიურ თურქმენეთში სასმელი წყალი საკმარისად არ არის. საქმე იქამდე მიდის, რომ წყალს თვითმფრინავებით ეზიდებიან. ნუთუ არ შეიძლება წყალი ადგილზე იქნეს მოძებნილი?

ამას წინათ დამტკიცდა, რომ ბალხაშის უზარმაზარი ტბის მარილიანი წყალი შეიძლება გამოყენებული იქნეს სასმელად. ამი-



სათვის ძალზე მარტივი მოწყობილობაა საჭირო — წყალს რეზერვუარებში ასხამენ, ზემოდან მჭიდროდ ხურავენ და მზეზე დგამენ. წყალი ორთქლდება, წვეთები მიწას ეკვრის და იქიდან მეორე ჭურჭელში გადადის, მარილი კი ფსკერზე ილექება.

ამიერიდან თურქმენეთის უდაბნოებში მეცხვარეებს წყალი აღარ მოაკლდებათ.

## ვარდისფერი სათვალედან

არსებობს ასეთი ხატოვანი თქმა: „ქვეყანას ვარდისფერ სათვალედან უყურებს“. ეს თქმა ეხება ისეთ ადამიანს, რომელსაც ყველაფერი ლამაზი ეჩვენება. მაგრამ რა იქნება, რომ ასეთი სათვალე ადამიანს კი არა, ვთქვათ, ქათამს გავუკეთოთ? იაპონელმა მე-



ფრინველეებმა მოჩხუბარ ქათმებს ნისკარტზე ჩამოაცვეს მავთულის სათვალე, რომელსაც პლასტმასის მინა აქვს ჩასმული. როგორც კი შეხედეს ურთიერთს ვარდისფერ სათვალედან, ქათმებმა მაშინვე შეწყვიტეს ერთმანეთისადმი მტრობა. ამას გარდა, კვერცხის დებასაც მოუმატეს.

## ენა — მშვილდისარი

საზამთროს მარცვალს თუ თითებს მაგრად მოვუჭერთ, როგორც გასროლილი ტყვია, ისე გაგვისხლტება ხელიდან. დაახლოებით ასევე „ისვრის“ ქამელეონიც ენას. მაგრამ ის, რა თქმა უნდა, სავსებით არ სხლტება: გრძელი, ელასტური კუნთები იმაგრებენ მას და უცბად უკანვე შეითრევენ პირში.

ენა—მშვილდისრის „შორსმსროლელობა“ საოცარია: ქამელეონს 20-30 სანტიმეტრის სიშორიდან შეუძლია დაიჭიროს მწერი. თუ მწერი მოშორებით ზის, ქამელეონი ნელნელა მიცოცავს მისკენ. ერთ თვალს არ აშორებს მსხვერპლს, მეორეს კი აქეთ-იქით აცეცებს, — მე თავად არ დამესხასო მტერი თავს.

მიაღწევს მსხვერპლამდე, „ესვრის“ და არასოდეს არ ააცდენს მიზანს. წამის მეოთხედში მწერი ენაზე ჰყავს მიწებებული, იქიდან კი კუჭში გადაუძახებს.

სხვათაშორის, სიტყვა — „მიწებება“ არც ისე ზუსტია, თუმცა აქამდე ზოოლოგებს ასე ეგონათ, რომ ქამელეონი ნადავლს ენაზე იწებებდა. 1960 წელს ახალგაზრდა მეცნიერმა გ. ბედინმა გამოარკვია, რომ ქამელეონის ენის აგებულება გაცილებით რთულია.

ქამელეონის ენაზე მსხვერ[illegible] ლოებისთანავე ჩნდება პატარა მაწოვარი — კონუსის ფორმის ღრმული. როგორც კი ენა მწერს შეეხება, მაწოვარის შინაგანი ღრუ უცბად დიდდება ენის კუნთის შემოკლების ხარჯზე. პატარა ბუზები და მწერები ხშირად მთლიანად ქრებიან ამ პნევმატურ ხაფანგში.

თუ ქამელეონმა იერიში მიიტანა დიდრონ მწერებზე, როგორიცაა ჭრიჭინა ან კიდევ კუტკალია, მაწოვარის გვერდზე გამოიწევა პატარა ხორთუმი ორი თითის მსგავსი წამონაზარდით, რომელიც ძალიან წააგავს აფრიკის სპილოების ხორთუმების წამონაზარდებს.

## მავნე ჩვეულებანი

სამხრეთ აფრიკაში სატელეფონო ხაზებზე ხშირად ხდება ავარია. აღმოჩნდა, რომ ამ ავარიებში ბრალი მიუძღვით არა ადამიანებს ან ბუნების მოვლენებს, არამედ მაიმუნებს, რომლებიც მავთულებზე „ტანვარჯიშობენ“, სპილოებს, რომლებიც ტელეფონის ბოძებზე ტანს უხახუნებენ, აგრეთვე ცნობისმოყვარე ჟირაფებსაც, რომლებიც თავიანთი გრძელი კისრებით მავთულებში ხშირად გაიხლართებიან ხოლმე.

კავშირგაბმულობის ადმინისტრაცია ფიქრობს, რა იღონოს იმისათვის, რომ ეს ცხოველები თავიანთ ჩვეულებას გადააჩვიოს.

## შავი ზღვის ლოკოკინები

ძალზე გემრიელი და რბილი ხორცი აქვს ზღვის ლოკოკინას, ამასთან იგი ადამიანის ორგანიზმისათვის საჭირო ნივთიერებებსაც შეიცავს.



შავ ზღვაში კარგა ხანია იჭერენ ლოკოკინებს. ჯერ კიდევ 1914 წელს ყირიმიდან მოსკოვსა და ლენინგრადში 12 მილიონი ცალი ლოკოკინა გაგზავნეს. 1988 წელს მარტო ქერჩის სრუტეში 60 მილიონი ლოკოკინა ბუდობდა. მაგრამ ბოლო ხანებში ლოკოკინის რაოდენობა შავ ზღვაში მკვეთრად შემცირდა. 1958 წელს კი ლოკოკინები უკვე სანთლით საძებარი გახდა. ეს იმან გამოიწვია, რომ მათ ულმობელი მტერი, მოლუსკი — რაპანა გამოუჩნდათ, რომელიც 1980 წელს შემოიყვანეს შავ ზღვაში. მეცნიერებმა გადაწყვიტეს, შავი ზღვის ლოკოკინები სპეციალურ რეზერვუარებში მოაშენონ ისე, რომ რაპანებს მათთან მოხვედრის საშუალება აღარ ექნეთ.


ჩვენი მისამართი:
თბილისი,
პლეხანოვის, 91
ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 00009 ტირ. 28.000. პირ. ფორ. რაოდ. $4^{1}/_{2}$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 7/III-62 წ.
სტამბის შეკვ. 507. გამომც. შეკვ. 830. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის მქკ «კომუნისტი».
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი
20
კაპიკი

# კროსვორდი



**ვერტიკალურად:** 1. ჭურჭელი; 3. არაბი, რომელიც ქრისტიანობის მიღებისათვის აწამეს არაბებმა თბილისში; 4. თანხმობის ნაწილაკი; 5. მუსიკალური ბგერა; 7. კურორტი შავ ზღვაზე; 8. კურორტი საქართველოში; 9. ქიმიური ელემენტი; 10. თავთავიან მცენარეთა დიდი კონა; 11. საოჯახო ნივთი; 12. მდინარე ინდოეთში; 16. მეტყველების ორგანო; 17. ყვავილი; 18. მდინარე ციმბირში; 19. ფრინველი; 20. ცნობილი საბჭოთა კინომსახიობი ქალი; 21. ქართული ფილმის — „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ — გმირი ქალი; 22. ვერდის ოპერა; 23. ნ. ლომოურის მოთხრობა.

**ჰორიზონტალურად:** 2. შინაური ცხოველი; 6. ქალაქი ურალში; 8. დედამიწის ბერძნული სახელწოდება; 11. სპორტული მოედანი; 13 წისქვილის ნაწილი; 14. რიცხვი; 15. ცხოველი; 17. მდინარე ყაზახეთში; 19. ცნობილი საბჭოთა ილუზიონისტი; 21. ფალიაშვილი ოპერა; 23. ფართობის საზომი ერთეული; 24. მ. შოლოხოვის „წყნარი დონის“ ერთ-ერთი გმირი; 25. სალებავი.

შეადგინა **გ. მერაბაშვილმა**

## გამოცანები

1

ბაღჩაში ოქროს ცხრილები
სავსეა შავი მძივებით.

2

წლობით დაგაქვს და არ იცი,
რამდენია მათი რიცხვი.

3

ყვითელ კაბა ასული
დილეგშია ჩასმული, —
დალალი კი მწვანე
დარჩენია გარეთ.

**შ. ამირანაშვილი.**

4

ცხოველსა აქვს, ფრინველს არა,
მისთვის სამი ასო კმარა.

5

სახლის თავზე კოხტად ვდგავარ,
სიტყვებს ვიჭერ, აბა, რა ვარ?

**ალ. საჩინოელი.**

## თავსატეხი

აქ მოცემული ფიგურა საჭიროა გაიყოს 4 ტოლ ნაწილად.



**გ. კოპაძე,**
თბილისის 53-ე სკოლის მოსწავლე.

# პასუხები

### ფანქრის ერთი მოსმით

ფიგურა ფანქრის ერთი მოსმით შემოიხაზება ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.



### გამოცანა-ხუმრობა

მძღოლი — ბავშვის დედაა.

### კროსვორდი

**ვერტიკალურად:** 1. ლომი; 3. „აიდა“; 4. კამა; 5. იდეა; 7. იური; 10. ისლი; 12. აისი; 13. ქამა; 14. ოსლო; 16. ივრი

**ჰორიზონტალურად:** 1. ლენა; 2. ილია; 5. იორი; 6. ადლი; 8. ზოია; 9. ნოტა; 10. იარა; 11. იასი; 14. ორბი; 15. ოლქი.

აბა, სცადეთ!



გახარებული — გაკვირვებული — გაბრაზებული — შეწუხებული — შეშინებული

# წიგნი ჩვენი მეგობარი

